

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ჟ. გრიგალაშვილის
საერთო რედაქციით**

**პრაქტიკული ელექტრონული მოწყობილობები
თანამედროვე ავტომატიკაში**

თბილისი 2013

ნაშრომში განხილულია თანამედროვე ელექტრონული ავტომატიკაში გამოყენებული მოწყობილობების პრინციპიული ელექტრული სქემები, აღწერილია მათი მოქმედების პრინციპები, ზოგიერთი მათგანისთვის მოყვანილია კონსტრუქციული ნახაზები. წარმოდგენილია: ძაბვის სტაბილიზატორები, ხმოვანი სიხშირის მაძლიერებლები, ლოგიკური მსინჯავები, სხვადასხვა სახის გარდამქმნელები, აკუმულიატორული დამმუხტავები, ობიექტთა დამცავი მოწყობილობები, ტრენაჟორები, ტაიმერები, სიგნალიზატორები, სხვადასხვა სახის ინდიკატორები, ლაზერული ტექნიკის ელემენტები, ნაძვის ხის ციმციმები, ფუნქციონალური გენერატორები, ფოტოელექტრული ტექნიკის ელემენტები, მეტალისმძებნელები, მუსიკალური ავტომატები, სენსორული ტექნიკის ელემენტები, გამზომი მოწყობილობები, ელექტრული ზარები, ველის ინდიკატორები, ტერმორეგულატორები, ძრავის რეგულატორები, ტერმოსტატები და მრავალი სხვა სახის დანიშნულების მოწყობილობა.

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია პროფესიონალური მომზადებისა და ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის, ელექტრონიკის დარგში მომუშავე დამმუშავეების, გამომყენებლებისა და მომსახურების სპეციალისტებისათვის, და აგრეთვე კვალიფიციური რადიომოყვარულებისათვის.

რედაქტორის წინასიტყვობა

ელექტრონული ტექნიკის ფართო გამოყენებამ ადამიანთა საქმიანობის ყველა დარგში მიგვიყვანა იქამდე, რომ ყოველწლიურად იქმნება მრავალათასობით სხვადასხვა სახის ციფრული და ანალოგიური ელექტრული სქემები. ინფორმაცია მათი სქემოტექნიკის შესახებ თავმოყრილია ძირითადად საფირმო სახელმძღვანელოებში, ნაწილი ქვეყნდება მრავალრიცხოვან პერიოდულ გამოშვებაში. ხშირად სტუდენტისთვის და ჩამოყალიბებული ინჟინერ-სქემოტექნიკოსისთვისაც კი ძნელია ორიენტაცია ამ მუდმივად ზრდად ინფორმაციულ ნაკადში.

წარმოდგენილ წიგნს შეუძლია მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს სტუდენტებს, კვალიფიციურ რადიომოყვარულებს, დამწყებ ინჟინერ-დამმუშავებლებს, აძლევს რა მათ შესაძლებლობას გაეცნოს დიდი რაოდენობით სხვადასხვა გამოყენების მქონე პრაქტიკულ ელექტრულ მოწყობილობებს.

წიგნის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი შეიცავს არა მოწყობილობის ელექტრულ პრინციპიალურ სქემებს, არამედმათ მათ ტექნიკურ მახასიათებლებს, მუშაობის პრინციპის აღწერილობებსა და კომენტარებს, მუშაობის რეჟიმების ანალიზს. მრავალი მათგანი აღჭურვილია კონსტრუქციული ზომებით, საბეჭდი დაფების ტრასირების ნახაზებით, რაც ამარტივებს მომხმარებლების სამუშაოს. მოწყობილობებში მითითებულია აგრეთვე გამოყენებული ელემენტების ტიპები და უმრავლეს შემთხვევაში მოყვანილია ამ ელემენტების შემცველი ელემენტების დასახელებებიც.

დამხმარე სახელმძღვანელო წარმოადგენს სტატიების კრებულს, რომელიც მომზადებულია/თარგმნილია სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის, მართვის სისტემებისა და რობოტოტექნიკის მიმართულების, პროფესიონალური მომზადებისა და ბაკალავრიატის სტუდენტების მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში. წყაროდ აღებულია ჟურნალ “Радио”-ს ნომრებში ბოლო ათი წლის მანძილზე გამოქვეყნებული მასალები.

დამხმარე სახელმძღვანელოს გამოქვეყნება სტუდენტების თანამონაწილეობითა და თანაავტორობით, ჩვენი აზრით დამატებითი სტიმული იქნება სტუდენტისათვის სასწავლო მასალის შესწავლასა და ათვისებაში, რაც ხელს შეუწყობს უფრო მაღალკვალიფიციური პროფესიონალური კადრების მომზადებას და ამასთანავე სხვა ანალოგიურ საგანმანათლებლო ცენტრებთან მიმართებაში კონკურენტუნარიანი გარემოს ფორმირებას.

რედაქტორი ჯემალ გრიგალაშვილი

სარჩევი	4
1. ამისულაშვილი ნინო, ჯგ. 608.020 - მაღალვოლტიანი ტრანზისტორების შესამოწმებელი მოწყობილება	10
2. ასკაროვი ოთარი, ჯგ. 608.021 – მართულით დისტანციური მართვა	13
3. ასკაროვი ოთარი, ჯგ. 608.021 – მომხმარებელთა რიგრიგობით ჩართვის მოწყობილობა	15
4. აღნიაშვილი დავითი, ჯგ. 608.825 – ბგერითი სიხშირის სასინჯო გენერატორი.	17
5. აღნიაშვილი დავითი, ჯგ. 608.825 – 1500 ვატიანი ბგერითი სიხშირის მაძლიერებელი	20
6. ბასილიძე ნიკო, ჯგ. 608.021 – ქსელის ძაბვის სიგნალიზატორი	24
7. ბასილიძე ნიკო, ჯგ. 608.021 – წყლის ტუმბოს მარტვის ავტომატი.	27
8. ბებია ვერიკო, ჯგ. 608.021 – ტემპერატურა – ძაბვის მარტივი გარდამქმნელი	30
9. ბებია ვერიკო, ჯგ. 608.021 – საბეჭდი სქემის ფოტოთარგმნის დამზადება.	33
10. ბერუაშვილი ლაშა, ჯგ. 108.825 – ავტომატური დამმუხტავი მოწყობილობა ტყვია-მუავიანი აკუმლიატორის ბატარეისთვის	38
11. ბერუაშვილი ლაშა, ჯგ. 108.825 – სატელეფონო მეკობრეებისაგან დამცავი მოწყობილობა.	46
12. ბერუაშვილი ლაშა, ჯგ. 108.825 – დამმუხტავი მოწყობილობის დამუშავება.	48
13. ბერუაშვილი ბაჩუკი, ჯგ. 608.020 – მრავალარხიანი დაცვა – სიგნალიზაციის მოწყობილობა (II ნაწილი)	52
14. გაბელაია ლევანი, ჯგ. 608.021 – მოტოციკლეტის დამცავი სიგნალიზაცია.	56
15. გაბელიძე ვენერა, ჯგ. 608.825 – მაღალსიხშირული შუპ-მისადგამი ციფრული ვოლტმეტრისათვის.	65
16. გაგოშიძე რამაზი, ჯგ. 608.021 - სოკოს სათბურის მორწყვის თბური რელე.	70
17. გელენიძე კონსტანტინე, ჯგ. 108.860 – ვენტილატორის გამოყენება ბგერითი სიხშირის სიმძლავრის მაძლიერებლის გასაგრილებლად	74
18. გელაშვილი თემური, ჯგ. 608.021 – ორრეჟიმიანი დამმუხტავი მოწყობილობა	79

19. გოდერძიშვილი ვახტანგი, ჯგ. 108.860 – სნაიპერის ტრენაჟორი ლაზერული სახვეწებლის ბაზაზე.83
20. გოგიშვილი მარიამი, ჯგ. 608.021 - კვების გამორთვის ტაიმერი ელექტრონიკა MMIII-01-სთვის86
21. გოგიშვილი მარიამი, ჯგ. 608.021 – განათების მართვის ავტომატი87
22. გოგოლაძე გიორგი, ჯგ. 608.020 – ბენზოხერხის ანთების (გაშვების) ბლოკის შეკეთება89
23. გოგოლაძე გიორგი, ჯგ. 608.020 – ქსელური ძაბვის ვარდნის ხმოვანი ინდიკატორი91
24. გოთოშია გიორგი, ჯგ. 608.020 – დისტანციური მართვის ინფრაწითელი პულტი რთავს ელექტრომოწყობილობებს92
25. გოთოშია გიორგი, ჯგ. 608.020 – უსათაურო96
26. გოცაძე ბერიკა, ჯგ. 608.021 - ძაბვის სფეროს ინდიკატორი მიკროსქემებზე99
27. გოცაძე ბერიკა, ჯგ. 608.021 - მცირეომიანი რეზისტორების შესამოწმებელი ციფრულ მულტიმეტრთან მისაყენებელი მოწყობილობა	101
28. გურგენიძე შორენა, ჯგ. 608.860 - გაუმჯობესებული ხელის ფარანი	103
29. დაუთაშვილი ბექა, ჯგ. 608.021 - ლაზერული სინათლის ტელეფონი (I ნაწილი)106
30. დაუთაშვილი ნოდარი, ჯგ. 608.021 – ღამის მანათობელი შუქდიოდზე.	110
31. დაუთაშვილი ნოდარი, ჯგ. 608.021 - ლაზერული სინათლის ტელეფონი (II ნაწილი).	113
32. დვალიშვილი გივი, ჯგ. 108.825 – ”მომდერალი ნაძვის” ახალი ვარიანტი	117
33. დვალიშვილი გივი, ჯგ. 108.825 – ტელევიზორის კვების მართვა	121
34. დვალიშვილი გივი, ჯგ. 108.825 – ფოტოელექტრული მალვიძარა.129
35. დვალიშვილი გიორგი, ჯგ. 608.021 – ციმციმა შუქდიოდის ჩართვის ორი ვარიანტი	132
36. დვალიშვილი გიორგი, ჯგ. 608.021 – მარტივი გენერატორი ტელეგრაფის ანბანის შესწავლისათვის.	134
37. ვართასაშვილი ანა, ჯგ. 608.860 –საჰაერო გაგრილების სისტემის მწყობრიდან გამოსვლის სიგნალიზატორი.137

38. ზამთარაძე გიორგი, ჯგ. 108.925.2 – პროპორციული რადიო მართვის აპარატურა140
39. ზოზიაშვილი დავითი, ჯგ. 108.020 – ელექტრონული გამომრთველი	142
40. ზოზიაშვილი დავითი, ჯგ. 108.020 – დისტანციური მართვის პულტის მუშაობის ინდიკატორი144
41. თუთბერიძე გიორგი, ჯგ. 608.020 – ძაბვის მცირეგაბარიტული მძლავრი გარდამქმნელი.	146
42. თუთბერიძე გიორგი, ჯგ. 608.020 – თვითგამომრთველი კვების ბლოკი.	150
43. თუთბერიძე გიორგი, ჯგ. 608.020 – ბიჯური ელექტროძრავის მართვის მოწყობილობა.	152
44. თუშიშვილი გიგა, ჯგ. 108.925.2 – ერთფაზა ქსელში სამფაზა ძრავის ჩართვის ხერხი.154
45. თუშიშვილი გიგა, ჯგ. 108.925.2 – ფუნქციონალური გენერატორი სიხშირის ელექტრონული ცვლილებით	156
46. თუშიშვილი გიგა, ჯგ. 108.925.2 – ტრანზისტორების სასინჯი.	159
47. თუშიშვილი გიგა, ჯგ. 108.925.2 – მარტივი ფოტორელე161
48. თუშიშვილი გიგა, ჯგ. 108.925.2 – ელექტრონული სასწორი.164
49. თუშიშვილი გიგა, ჯგ. 108.925.2 – შუქდიოდური “ციმციმები” 217 თ3 მიკროსქემაზე	167
50. თუშიშვილი გიგა, ჯგ. 108.925.2 – მეტალისმკებელი დაბალვოლტიანი კვებით170
51. თუშიშვილი გიგა, ჯგ. 108.925.2 – გამორთვის შემაფერხებელი ელექტრონული რელე	173
52. თუშიშვილი გიგა, ჯგ. 108.925.2 – მარტივი მეტალისმკებელი	177
53. თუშიშვილი გიგა, ჯგ. 108.925.2 – დამცავი მოწყობილობა ველიან ტრანზისტორებზე185
54. თუშიშვილი გიგა, ჯგ. 108.925.2 – ქსელური ძაბვის გათიშვის ხმოვანი სიგნალიზატორი	187
55. თუშიშვილი გიგა, ჯგ. 108.925.2 – ნათურის დამცავი მოწყობილობა	189
56. თუშიშვილი გიგა, ჯგ. 108.925.2 – ტაიმერი ქსელური ძაბვიდან კვებული აპარატურისათვის191
57. თუშიშვილი გიგა, ჯგ. 108.925.2 – მარტივი ღროის რელე193
58. თუშიშვილი გიგა, ჯგ. 108.925.2 – მიახლოების ინდიკატორი194
59. თუშიშვილი გიგა, ჯგ. 108.925.2 – ბგერითი სიხშირის მარტივი გამაძლიერებელი.	197

60. თუშიშვილი გიგა, ჯგ. 108.925.2 – სენსორული გამომრთველი.	197
61. კირვალიძე ნინო, ჯგ. 108.860 – სამფაზიანი ასინქრონული ძრავების ბრუნვის სიხშირის რეგულატორის სრულყოფა.	199
62. კილაძე ვაჟა, ჯგ. 608.825 –სარჩილავისა და ღრელის კვების წყარო	200
63. კილაძე ვაჟა, ჯგ. 608.825 – მაძლიერებელი სატელეფონო აპარატისათვის .	205
64. კინწურაშვილი გურამი, ჯგ. 608.860 - ლაზერული დისტანცური მართვა .	206
65. კინწურაშვილი გურამი, ჯგ. 608.860 – კომპიუტერული გარნიტურის შეერთება	208
66. კელიხაშვილი ანზორი, ჯგ. 608.021 – მიკროტალღური ღუმელის გამოსხივების ინდიკატორი	210
67. კელიხაშვილი ანზორი, ჯგ. 608.021 – კვების წყაროების დატვირთვის უნივერსალური ექვივალენტი.	212
68. ლუკავა თემო, ჯგ. 608.020 – მრავალხარისხიანი დამცავ-სიგნალური მოწყობილობა	216
69. მარგებაძე გიორგი, ჯგ. 108.925.2 – ბგერითი სიხშირის მაძლიერებელი ველიან ტრანზისტორებზე	219
70. მგალობლოშვილი გიორგი, სტაბილური თერმორეგულატორი.	224
71. მენაბდიშვილი ნინო, ჯგ. 608.825 – სინქრონიზირებული იმპულსური ძაბვის სტაბილიზატორი	226
72. ნოზაძე თეონა, ჯგ. 608.825 - უსათაურო.	229
73. ნოზაძე თეონა, ჯგ. 608.825 - უსათაურო.	233
74. ნონიაშვილი მეგი, ჯგ. 608.020 – მარტივი ლაბორატორიული კვების წყარო	242
75. ნონიაშვილი მეგი, ჯგ. 608.020 - გაბარიტული შუქები უცხოპლანეტელებისათვის	242
76. ოდიკაძე ირაკლი, ჯგ. 608.020 – ოკსიდური კონდენატორების გამოყენების თავისებურებები მოკროპროცესორების კვების წრედებში	245
77. ოდიკაძე ირაკლი, ჯგ. 608.020 – ავტომატური სადარაჯო მოწყობილობა. .	249
78. ჟივიძე დავითი, ჯგ. 108.860 – უნივერსალური გენერატორი – სასინჯი . . .	251
79. რურუა თორნიკე, ჯგ. 608.825 – გირლანდების კომუტაციის ავტომატი . . .	255
80. რურუა თორნიკე, ჯგ. 608.825 – შუქდიოდების მატრიცა	258
81. რურუა თორნიკე, ჯგ. 608.825 – „მორბენალი ცეცხლი“ ავტორევერსით. . .	260
82. რურუა თორნიკე, ჯგ. 608.825 – მუსიკალური ავტომატი.	262
83. რამაზაშვილი ზვიადი, ჯგ. 608.860 – “მოცეკვავე კაცუნა”	264

84. სანაია სოსო, ჯგ. 608.021 - ფაზური ძაბვის გაქრობის ინდიკატორი	269
85. სანაია სოსო, ჯგ. 608.021 – სატელეფონო საუბრის დროის გადამეტების სიგნალიზატორი	272
86. ტაბატაძე მიხეილი, ჯგ.608.021 - რადიომართვით მოდულის ძაბვის გარდამქმნელი (II ნაწილი).	277
87. ტენტერაშვილი გიორგი, ჯგ. 608.021 – ორბარიერიანი კომპარატორი	281
88. ტენტერაშვილი გიორგი, ჯგ. 608.021 – გირლანდების გადამრთველი ავტომატი	283
89. ტოტიკაშვილი გიორგი, ჯგ. 608.860 - უნივერსალური ლოგიკური სასინჯი	284
90. ტულუში ანა, ჯგ. 608.021 – ფაზური ძაბვის გაქრობის ინდიკატორი	287
91. ტულუში ანა, ჯგ. 608.021 – დატვირთვის ინდიკატორი.	291
92. ურუმაშვილი ნათია, ჯგ. 608.020 – მაგიდის ნათურის სენსორული გამომრთველი.	295
93. ურუმაშვილი ნათია, ჯგ. 608.020 – ვერცხლიანი წყალი.	297
94. ფიროსმანიშვილი ნიკა, ჯგ. 608.021 – რადიომართვით მოდულის ძაბვის გარდამქმნელი (I ნაწილი)	299
95. ფიროსმანიშვილი ნიკა, ჯგ.608.021 – საბეჭდი სქემის ფოტოთარგმნის დამზადება	302
96. ქარდავა ვასილი, ჯგ. 608.825 – პერსონალური კომპიუტერების კვების ბლოკების სქემოტექნიკა	305
97. ქარდავა ვასილი, ჯგ. 608.825 – უნივერსალური ლოგიკური მსინჯავი.	316
98. ღლონტი თამთა, ჯგ. 608.820 – მულტიმეტრის მისადგომი ტემპერატურის გაზომვისათვის	319
99. შალამბერიძე გიორგი, ჯგ. 608.825 – მიმღები ინდუქციური გრაგნილის გარეშე	323
100. შალამბერიძე გიორგი, ჯგ. 608.825 – ძაბვის სტაბილიზატორი მძლავრ ველიან ტრანზისტორზე.	325
101. შალამბერიძე გიორგი, ჯგ. 608.825 – მცირეგაბარიტიანი ვოლტმეტრი.	330
102. შონია ლაშა, ჯგ. 108.860 – დამმუხტავი მოწყობილობა ორი აკუმულატორისათვის	335
103. ჩალიგავა ნინო, ჯგ. 108.860 – ფოტოტირი ლაზერული მაჩვენებლის ბაზაზე	337

104. ჩიტეიშვილი ლია, ჯგ. 608.825 – პკ-ს კონტროლერებთან შეკავშირების მოწყობილობა მიმდევრობითი არხით.	340
105. ჩოხელი ხატია, ჯგ. 608.825 – სოკოს მკრეფავის მაღვიძარა – მეტავალყურე მოწყობილობა.	342
106. ჩოხელი ხატია, ჯგ. 608.825 – ელექტრული ზარი ველოსიპედისათვის . . .	346
107. ჩოხელი ხატია, ჯგ. 608.825 – ფოტოელექტრონული მაღვიძარა.	349
108. ჩოხელი ხატია, ჯგ. 608.825 – ვენტილიატორის გაჩერების ხმოვანი სიგნალიზატორი.	352
109. ცინცაძე თორნიკე, ჯგ. 108.860 – ძაბვის სინქრონიზებადი იმპულსური სტაბილიზატორი.	353
110. წეველიძე ირაკლი, ჯგ. 608.821 - ელექტრომაგნიტური ველის მგრძობიარე ინდიკატორი	356
111. წეველიძე ირაკლი, ჯგ. 608.821 – მაცივრის ღია კარების სიგნალიზატორი.	363
112. ჭარელი გურამი, ჯგ. 108.860 – მიმღები ინდუქციური ხვეულას გარეშე . .	365
113. ჯავახიშვილი ანა, ჯგ. 608.020 – მისადგამი აკუმულიატორის შესამოწმებლად	368
114. ჯავახიშვილი ანა, ჯგ. 608.020 – თერმომეტრი.	370
115. ჯანიკაშვილი გარი, ჯგ. 108.925.2 – შუქურა შინაური ცხოველებისათვის. .	374
116. ჯინჭარაშვილი გვანცა, ჯგ. 608.825 – თერმორეგულატორი	375
117. ჯინჭარაშვილი გვანცა, ჯგ. 608.825 – ერთი თერმორეგულატორი რამოდენიმე ობიექტი.	378
118. ჯინჭარაშვილი გვანცა, ჯგ. 608.825 – თერმოსტატი სკისათვის	381
119. ჯინჭარაშვილი გვანცა, ჯგ. 608.825 – 5/2×10 ვ. ძაბვის გარდამქმნელი MAX242 მიკროსქემაზე	385
120. რედაქტორისაგან, – კიბის ნაკვეთურის განათების ავტომატური გამომრთველი	388
121. რედაქტორისაგან. – განათების მართვის ავტომატი.	389
122. რედაქტორისაგან. - სარჩილავის სენსორული გამორთვა კმუნ მიკროსქემებთან მუშაობის დროს.	392

1. მაღალვოლტიანი ტრანზისტორების შესამოწმებელი მოწყობილობა

ამისულაშივილი ნინო

ნახევარგამტარი ხელსაწყოს შემოწმება, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში თუ რადიობაზარზეა შექნილნი, არამარტო სასურველი, არამედ აუცილებელიცაა, რადგან შეიძლება ხელში შევრჩეთ წუნდებული ანდა ყალბი დეტალი. წარმოდგენილი მოწყობილობა შესრულებულია როგორც მისაყენებელი ნაკეთობა ციფრული ან ანალოგური გამზომი ხელსაწყოსადმი და შესაძლებლობას იძლევა სწრაფად გნისაზღვროს ნახევარგამტარის გადასასვლელის შესაბამისი დასაშვები უკუ ძაბვის მაქსიმალური მნიშვნელობა.


ცნობილია რომ ნახევარგამტარიანი ხელსაწყოს გამოცდა ანალოგური ან ციფრული მულტიმეტრით არ იძლევა სრულ გარანტიას მათი გამართულობის შესახებ, და ეს გამოწვეულია იმ დაბალი ძაბვის გამო რომლითაც ხდება მათი შემოწმება. ცხადია რომ მძლავრი მაღალვოლტიანი ხელსაწყოების შესამოწმებლად არ გამოდგება დაბალვოლტიანი ტრანზისტორების (KT315B, KT315A) შემოწმებისთვის განკუთვნილი „მშინჯავები“.

ყურადსაღებია აგრეთვე, რომ თუ შესამოწმებელ ტრანზისტორს უკუ დენი საგრძნობლად მაღალი აქვს მითითებული ვიდრე ცნობარშია ჩაწერილი, მაშინ იგი არათუ უხარისხო ეკემპლიარი შეიძლება აღმოჩნდეს, არამედ ყალბიც, ანუ ერთი ტრანზისტორის მაგივრად იმავე კორპუსში მოთავსებული იყოს რაღაც სხვა ტიპის ტრანზისტორი.

წარმოდგენილი მოწყობილობა განკუთვნილია ნებისმიერი სტრუქტურის ბიპორიული ტრანზისტორების უკუ დენის გასაზომად 50 ... 600 ვ. ძაბვის მნიშვნელობებისათვის. ამავე ხელსაწყოთი შეიძლება გაიზომოს მმართველი დიოდების, ტირისტორის, სიმისტორების უკუ დენები და აგრეთვე განისაზღვროს გაზგანმმუხტველი ნათურების მაღალვოლტიანი სტაბილიზატორებისა და ვარისტორების მუშა ძაბვები.

მოწყობილობის პრინციპიალური სქემა მოცემულია ნახ. 1 – ზე. ცვლადი ძაბვა 220 ვ კვების გამომრთველ SB1.1 - ის და R1, R2 რეზისტორების გავლით მიეწოდება ერთნახევარპერიოდთან გამმართველ VD1, VD2 დიოდებს, რომლებიც ჩართულია ძაბვის გაორმაგების სქემით. თუ რეზისტორ R2 - ს ცოცია იმყოფება ნახაზზე ნაჩვენები სქემის მიხედვით ზედა მდგომარეობაში, მაშინ თითოეული C1, C2 კონდენსატორთაგანი იმუხტება დაახლოვებით ქსელის ძაბვის ამპლიტუდურ მნიშვნელობამდე, ანუ 300 ვოლტზე ოდნავ მეტზე.

ამასთანავე რეგულირებადმა მუდმივმა ძაბვამ R8 და R9 რეზისტორების, სქემის მიხედვით, მარცხენა გამომყვანზე შეიძლება მიაღწიოს 600 ვოლტს.



ნახ. 1

R3, R4 რეზისტორები განკუთვნილია C1, C2 კონდენსატორების განმუხტვის დასაჩქარებლად კვების წყაროს გამორთვის შემთხვევაში. ნეონის ნათურა HL1 აინთება მაშინ, როცა მასზედ მოდებული ძაბვა 100 ვოლტს გადააჭარბებს. R6, R7 და PA1 მიკროამპერმეტრზე აგებულია უმარტივესი ვოლტმეტრი, რომელიც დაგრაღულირებულია 600 ვ სკალაზე. R8, R9 რეზისტორები ზღუდავენ დენს 6 მა - მდე დატვირთვის მოკლე ჩართვისას. მათზედ გაფანტული სიმძლავრე 3,6 ვტ-ია.

HL2 შუქდიოდი, რომელიც ახდენს p-n გადასასვლელის უკუ დენის ზრდის ინდიცირებას, იწყებს ნათებას 100 მკა - ზე ოდნავ მეტი დენის არსებობისას. (სასურველია შეირჩეს შუქდიოდი რომელსაც ექნება უდიდესი შუქნაკადი უმცირესი დენის დროს). სილიციუმის დიოდი VD3 იცავს ჩართულ მიკროამპერმეტრს გადატვირთვისაგან.

მოწყობილობაში გამოყენებულია შესაბამისი სიმძლავრის მუდმივი MLT რეზისტორები. ცვლადი R2 რეზისტორი 1 ვატიანი CП1 - ის ტიპისაა წრფივი მახასიათებლით. ზოგიერთი მუდმივი რეზისტორი გამოყენებულია მომატებული სიმძლავრის, რაც აიხსნება მათი მუშაობით მაღალი ძაბვებზე.

C1, C2 კონდენსატორები ოქსიდურია K50-7, K50-27 ტიპების, ანდა ანალოგიურები არანაკლებ 350 ვ-ზე. შეიძლება გამოყენებულ იქნას 2,2 მკფ-ის ტევადობის არაპოლარული K73-17 ტიპის კონდენსატორები არანაკლებ 400 ვ-ზე ან ანალოგიურები.

VD1 –VD3 დიოდები შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერი სხვა დაბალ სიმძლავრიანი სილიციუმის დიოდით, რომელთა დასაშვები უკუძაბვა არ იქნება 700 ვ-ზე ნაკლები.

HL1 ნეონის ნათურა შეიძლება აღებულ იქნას ნებისმიერი ტიპის, საკმარისი ნათების სიმკვეთრით არაუმეტეს 250 ვ დენის არსებობისას. კვების

გამომრთველი SB1 შეიძლება აღებულ იქნას ნებისმიერი, ღილაკის ტიპის (ფიქსაციის გარეშე), მუშა დაბოთ არანაკლებ 250 ვ - ისა.

PA1 მიკროამპერმეტრი აღებულია M4761 ტიპის ჩარჩოს წინაღობით 1 კომ. მისი შეცვლა შეიძლება ნებისმიერი სხვა ტიპით, რომლის ისარიც 50-300 მკა დენის დროს სრულად გადაიხრება. მაგალითად, M68501, M4260, M4204. მაგრამ, ასეთი შეცვლისას შეიძლება საჭირო გახდეს R6, R7 რეზისტორების წინაღობების არსებითი კორექტირება.

კონსტრუქციულად მოწყობილობა შეიძლება მოთავსდეს 100X150X30 მმ - ის პლასტმასის კორპუსში. R2 რეზისტორის დერძზე აუცილებლად უნდა დაეყენოთ პლასტმასის სახელური. მოწყობილობა, მისი ხშირი გამოყენების შემთხვევაში შეიძლება აღიჭურვოს პოლარულობის გადამრთველით “n-p-n” და “p-n-p” ტიპის ტრანზისტორების შემოწმებისათვის. იმასთან დაკავშირებით, რომ თავიდან იქნას აცილებული დენის მიერ ადამიანზე მიყენებული დაზინება, გაზომვისას დენი კვების წრედში შეზღუდულია, ხოლო ოპერატორის ხელები კი დაკავებული: ერთდროულად უნდა დაეჭიროს კვების წყაროს ჩამრთველსა და დარეგულირდეს დაბვა დატვირთვაში. ამიტომაც კონსტრუქციით გათვალისწინებულია ნახევარგამტარი ხელსაწყო დაბვის ქვეშ მყოფი გამომყვანების ფიქსაცია შემაერთებელი კლემებით ან მარწუხებით.

სანამ ნახევარგამტარული ხელსაწყოები გამოიცდება მის მაქსიმალურ დაბვაზე, მაინც მიზანშეწონილია მათი ძირითადი პარამეტრების შემოწმება ჩვეულებრივი ომეტრით, რითაც განთესილი იქნება დეფექტური ელემენტები პირველსავე ეტაპზე. ტირისტორის შემოწმებისას მას მიუერთებენ “n-p-n” ტიპის სტრუქტურის მქონე ტრანზისტორის გამომყვანებს, ამასთანავე მართვის ელექტროდს შეუერთებენ ბაზის გამომყვანს.

სიმისტორს ამოწმებენ მოდებული დაბვის პოლარულობის ორი ვარიანტისთვის, ამასთან ჩაურთავს ტოვებენ მართვის ელექტროდს. X1, X2 ბუდეებთან აერთებენ ნებისმიერი კონსტრუქციის მიკროამპერმეტრს. განსაკუთრებით მოსახერხებელია ციფრული მულტიმეტრის გამოყენება. X3, X4 კონტაქტებთან შეიძლება შეუერთდეს დამატებითი ვოლტმეტრი.

გამოსაცდელი დაბვა უნდა გაიზარდოს თანდათანობით, თან უნდა გაკონტროლდეს უკუ დენის ზრდის პროცესი საზომი ხელსაწყოთი ანდა შუქდიოდის ნათებაზე დაკვირვებით.

ტრანზისტორების კორპუსების მრავალფეროვნების გამო ძნელია საერთო რეკომენდაციის გაცემა მათი მოწყობილობასთან მისაერთებლად.

შეიძლება ტრანზისტორის გამოყენებას უბრალოდ მიერჩილოს სადენები. ამასთან აუცილებელია ორი პირობის შესრულება: მოწყობილობასთან ყოველგვარი მიერთება უნდა განხორციელდეს გამორთული კვების შემთხვევაში, (მოწყობილობა არ არის იზოლირებული ქსელიდან) და ფილტრის კონდენსატორის სრული განმუხტვის შემთხვევაში.

ზოგჯერ, შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს უკუ დენის გაზომვა მხოლოდ ოთახის ტემპერატურაზე, ასეთ შემთხვევაში ტრანზისტორი ან სხვა რომელიმე ნახევარგამტარული ხელსაწყო შეიძლება გაცხელდეს ელექტროფენით.

ტესტირების რეზულტატები შეიძლება გამოყენებულ იქნას ნახევარგამტარული ხელსაწყოების უფრო მეტად წინდახედულ შერჩევისას დასაშვები ძაბვის მნიშვნელობის მარაგის საკმარისობის მიხედვით.

რედაქტორისაგან: გამზომი წრედების ქსელთან გაღვანური კავშირის გამორიცხვის მიზნით მიზანშეწონილია ხელსაწყო შეერთებულ იქნას მასთან გამყოფი ტრანსფორმატორის გავლით.

წყარო: Радио, 2003, № 3, с. 22

2. დისტანციური მართვა

ოთარ ასკაროვი


ჯურნალ „რადიოში“ გამოქვეყნდა არც ისე ცოტა აღწერილობა მართვით მოწყობილობებზე. ქვევით წარმოდგენილია სქემატურად აწყობილი დისტანციონური მართვითი მოწყობილობა, რომელშიც შედის ათი დატვირთვა, ეს მოწყობილობა არის აწყობილი სამ მიკროსქემაზე, და გადაკეტება არ არის საჭირო.

ეს მოწყობილობა შეიძლება იყოს გამოყენებული მაგნიტოფონებში და ტელევიზორებში პულტის დახმარებით. ძირითად უპირატესობა სისტემაში უნდა მიექცეს იმასაც რომ ბლოკთან შესაერთებისას საკმარისია ორი მართული, მიუხედავად იმისა რომ არ არის დამოკიდებული არხების რაოდენობაზე.

აღწერილ მდგომარეობაში ეს მოწყობილობა უნდა განიხილოს, როგორც ძირითადი მართვითი სისტემა. ისე მაგალითად, აქ არ არის დაფარული კვანძები, ციფრული მთვლელების და რელეს გამოყენება.

სიგნალის მისაცემად შეიძლება იყოს გამოყენებული ტუმბლერები. დილაკური

გამომრთველები



მოწყობილობა(იხ,ნახაზი)სტრუქტურულად იყოფა ორ ნაწილად— პირველი ემორჩილება ბრძანებას მეორე კი აღმასრულებელი არის.

ბრძანების ნაწილში იგი(შემოსახულია პუნქტირად)ელემენტებზე 2.2, 2.3 არის აწყობილი ტაქტიკური გენერატორი,მთვლელზე 1 და ღილაკებზე

შ 1-შ 10—ბრძანების შიფრატორი.

მთვლელი 1 შემსრულებელ ნაწილში არის ბრძანების დეშიფრატორი.

ძაბვის მიწოდების დროს ჯაჭვილჩი(ჩ3ლ4) აფორმირებს იმპულს,რომელიც ანულოვანებს მთვლელს 1(3).როგორც წარმოდგენილია სქემაზე ორივე მთვლელი არის შეერთებული საერთო ქვების წყაროსთან,ამასტან ერთად გამყვანების რიცხვთა რაოდენობა უდრის სამს,თუ მივიღებტ

განულების შემდეგ გამოსასვლელ 0 გამომთვლელზე 1 და 3,გამოჩნდება მაღალი დონე და დანარჩენ ცხრაზე დაბალი.

შემსვლელ ბლოკირებულ ელემენტზე 2.1 მაღალი დონეა,გამომსვლელზე დაბალი,რის შედეგადაც ტრაქტული გენერატორი არის დატორმუზებული.

ასეთ მდგომარეობაში მოწყობილობას ჩართული აქვს გადატვირთვა,რომელიც შეერთებულია გამსვლელთან 0 მთვლელტან 3,დანარჩენი გადამტვირთველები გამორთულია.

თუ დავაჭერტ ღილაკს შ 6 მაგალითად(1)მაგალი დონეა გამომსვლელზე ბლოკირებულ ელემენტზე 2.1 შეიცვლება დაბალ დონეზე.გენერატორი დაიწყებს მუშაობას,და მისი იმპულსები მეორე ბლოკირებულ ემენტების გავლით 2.4 ხელის შეუშლელად გაივლიან შემოსასვლელტან.ჩ მთვლელების 1 და 2.

ყოველივე იმპულსი გენერატორში გაადიდებს მოვლელების მდგომარეობას ერთზე-ერთის შედეგადაც მაგალი დონე გამოიტანს გამოსასვლელზე 1,2,3,4 და ასე შემდეგ.

როგორც მაღალი დონე გამოჩნდება გამოსასვლელზე 5 მოვლელზე, ელემენტი 2.1 გადაირთვება ნულოვან მდგომარეობაში და ბლოკავს გენერატორს. ასეთ მდგომარეობაში გენერატორს შეუძლია იკოს დიდი ხნით.

თუ დავჭერთ ღილაკს დიდი ნომრით გენერატორი ისევ დაიწყებს მუშაობას, და მას შემდეგ როცა მოვლელები მიაღწევენ დაჭერილ ღილაკის მნიშვნელობას, ისევ გაჩერდება გენერატორი. თუ დავაჭერთ ღილაკს შ 1 მაშინ მოვლელები გადააჭარბებენ თავიანთ მნიშვნელობებს რის შედეგადაც გენერატორი დაიბლოკება ნულოვან მდგომარეობაში. მოწყობილობას არ ეშინინია, ერთდროულად რამოდენიმე ღილაკის დაჭერის, ამ შემთხვევაში იმუშავებს ღილაკი დაბალი დონით.

როგორც ზევით იყო მოხსენებული მაღალი დონე მანამა გამოჩნდება მოვლელის გამოსვლელთან 3 <<სრულდება>>რიგრიგობით ყველა გამოსასვლელი. მაგრამ ყველა შეერთებული მასთან ყველა გადატვირთვა (რელე ან ელექტრო მაგნიტები, როგორც წესი, მუშაობას ვერ ასწრებენ, რადგანაც გენერატორის სისწრაფე საკმაოდ მაღალია – დაახლოებით 500 კერცი,

სხვანაირად რომ ვთქვათ ინპულსების ხანგრძლიობა მოვლელთან უდრის 2 მკს, თუ გადატვირთვა სარგებლობს ძალიან დიდი მუშაობით, მაშინ უნდა მიექცეს ყურადღება ღჩ-ჯაჭვს.

მოწყობილობაში, გარდა იმისა რაც ნაჩვენებია სქემაზე, შეგვიძლია გამოვიყენოთ მოკროსკემები 176, 564, 1561.

Радио, 2003, № 9, с. 43


3. მომხმარებელთა რიგრიგობით ჩართვის მოწყობილობა

ასკაროვი ოთარი

ცობილია, რომ მოკლევადიან ქსელური ძაბვის გამორთვის ან გადასვლა სარეზერვო ძაბვაზე, უმეტესი საყოფაცხოვრებო და სამრეწველო კონდიციონერები ითხოვენ სამ წუთიან გადატვირთვას, განმეორებით ჩართვისთვის. გარდა ამისა, ჰაერის კონდიციონირების სისტემებში, სადაც მოთავსებულია დიდი რაოდენობის ელექტრონული ძრავები, ერთდროული

გაშვება არ არის სასურველი, როგორც ასე მათი ჯამური დამწყები, ბერჯერ აჭარბებს და რის შედეგადაც შეიძლება მოხდეს ქსელის გადატვირთვა, შემოთავაზებული მოწყობილობა-სამარხიანი ტაიმერი-

უზრუნველყოფს ავტომატურ გამძლეობას და ალტერნატიულ შეერთებას სამ ჯგუფა ქსელთან.



ტაიმერი მარტივია, აწყობილია ხელმისაწვდომ დეტალებისგან, და არ ითხოვს გარდაქმნას. მისი სქემა ნაჩვენებია ნახ. “ტაკტობრივი იმპულსები”, რომელიც დაფორმდა ძაბვისგან 6.3 ჰერცებში 50. R1VD1 მეშვეობით შმითთა ტრიგერებით ელემენტებზე DD2.2 DD2.3. მიიღწვიან გამყოფ შესასვლელთან (მოვლელები DD1, DD3, DD4) საერთო გამოყოფთა კოეფიციენტი -1000 ცვლადი ძაბვის 6,3 მიიღებე ქსელის მეშვეობით,რომელიც არარის ნაჩვენები სქემაზე.

კომუტაციონალური მოწყობილობა,რომელიც ჩართულია რეგისტრთა მე-6 გამსვლელთან DD5 , იგი შედგენილია ოპტრონისგან U1, დიოდურ ხიდისგან VD2-VD5 და სისმისტორისგან სადაც ტაიმერის პირველი ჩართვის შემთხვევაში სემისტორი VS1.ხურავს კეების ჯაჭვს ლიკვიდაცია სამფაზა კონტაქტორის KM1 ПМА-3/02.

მაღალი დონის შესაძლებლობა გამოდის DD5 რეგისტრიდან რომელიც გვაძლევს საშვალებას ვიმორჩილოთ შუქთადიოდით U1 დამატებითი ძალების გარეშე.

გამომშვლელთა 5 და 4 რეგისტრი აერთიანებს კომუტაციონალურ კვანძებს DD5.

კვანძები შეიძლება იყოს გამოყენებული სხვა და სხვა სქემებით მაგრამ ბლოკირება მათში უნდა იყოს აუცილებლათ ყურადღებაში.

რადიო № 9, 2003, ც. 43

4. ბგერითი სიხშირის სასინჯი გენერატორი

აღნიაშვილი დაეითი


შემოთავაზებული გენერატორი სასარგებლოა სხვადასხვა სახის ელექტრო აკუსტიკური მოწყობილობაში დაზიანებული ნაწილების აღმოსაჩენად. იგი საშვალებას გვაძლევს მივაწოდოთ ხმოვანი სიგნალის ძაბვა შესამოწმებელი მოწყობილობის სხვადასხვა წერტილებში, მიკროფონის შესასვლელიდან დაწყებული და ამის მეშვეობით მოვძებნოთ გაფუჭებული კასკადი ანდა სტერეოფონური აპარატის არხი.

გენერატორი თავის გამოსასვლელზე უზრუნველყოფს სწორკუთხა ინპულსების გამომუშავებას 2 - ის გამჭოლოდით (მეანდრა) და ბგერითი დიაპაზონის საშვალო სიხშირით (1000 ... 1200) ჰც - ამდე. იმპულსების ამპლიტუდა ფიქსირებულია: 1 მვ, 100 მვ ან 0.7 ვ. დონეებზე. სტერეოარხების შესამოწმებლად გენერატორს აქვს ორი გამოსასვლელი სიგნალის დამოუკიდებელი ჩართვით. გამოსასვლელი სიგნალის ამპლიტუდა ორივე გამოსასვლელზე ერთნაირია.

სიგნალის სწორკუთხა ფორმა საშვალებას გვაძლევს, ოსილოგრაფის არსებობის შემთხვევაში, ინახოს მოწყობილობის ამპლიტუდისშირული და ფაზურსიხშირული მახასიათებლები და ასევე გაირკვეს მისი მოდრეკილება თვითაღზნებისაკენ [1].

გენერატორის სქემა ნაჩვენებია ნახ. 1 - ზე. გენერატორი აწყობილია სიმეტრიული მულტივიბრატორის [2] სქემის მიხედვით VT1 და VT2 ტრანზისტორებზე. სასურველია მათი კოეფიციენტი დენის გადაცემის მიმართ იყოს არანაკლებ 50 - ის. გენერაციის სიხშირე განისაზღვრება R3, R4, C1 და C2 ელემენტებით. მეორე ტრანზისტორის კოლექტორის დატვირტვა შედგება სამი

რეზისტორისგან, რომლებიც ქმნის გამომავალი ძაბვის გამყოფს. SA2 და SA3 გადამრთველებით ყენდება გამომავალი ძაბვის ამპლიტუდა, ხოლო SA4 და SA5 გადამრთველებით სიგნალი მიეწოდება საჭირო გამოსასვლელს. გადამრთველებად გამოიყენება MT1 ტუმბლერები.



ნახ. 1


შუქდიოდი HL1 ასრულებს რამოდენიმე ფუნქციას. R1 რეზისტორთან ერთად იგი ასტაბილიზირებს მულტივიზორის კვების ძაბვას, ინდიცირებს გენერატორის ჩართულობზე და აკუმულატორული ბატარეის მდგომარეობზე. მისი სიკაშკაშის შემცირება მიუთითებს იმაზე, რომ დროა დამუხტულ იქნას ბატარეები.

გენერატორის კვება წარმოებს ორი დისკური აკუმლიატორებით D-0.25. ეს უზრუნველყოფს სუფთა გამსასვლელ სიგნალებს ყოველგვარი ზედმეტი მინარევებისა და ცვლადი დენის ფონისაგან. ამავე მიზნით გენერატორი მოთავსებულია მეტალურ კორპუსში, ხოლო გამომავალი მავთულები კი ეკრანირებულია.

გენერატორის დამუხტვისათვის გამოყენებულია მოწყობილობა, რომლის სქემაც მოყვანილია ნახ. 2 – ზე. ცვლადი დენის წრედში გამოყენებული C1 ჩამქრობი კონდენსატორი ზღუდავს დამუხტვის დენს დასაშვებ დონემდე, ხოლო R2 და R3 რეზისტორები ზღუდავენ დენის შესაძლო ნახტომებს ჩართვისას და ქსელში ძაბვის რყევების დროს. VD5 სტაბილიტრონი ზღუდავს ძაბვას დამუხტავი მოწყობილობის გამოსასვლელზე, ბატარეიასთან კონტაქტის დარღვევისას ანდა ქსელში მცდარად ჩართვისას აკუმულიატორის არარსებობის დროს.

დამუხტავი მოწყობილობის კონსტრუქციამ უნდა გამორიცხოს ნებისმიერ დენის მატარებელ გამტარებთან ადამიანის შესაძლებელი კონტაქტი.

C1 ჩამქრობი კონდენსატორი (K73-17 ანდა MBM) შეირჩევიან არანაკლებ 300 ვოლტის მუშა დაბეჭად. გამმართველი ბოგირი მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას მზა სახის მაგ. KИ405E ტიპის. აკუმულიატორების დამუხტვის დროა – 15...20 საათი.



ნახ. 2

გენერატორის დეტალების უმეტესი ნაწილი განლაგებულია ცალმხრივ დაფრულ, ფოლგირებულ მინატექსტოლიტის ნაბეჭდ დაფაზე, რომლის ესკიზიც ნაჩვენებია ნახ. 3 – ზე. დაფას არ აქვს ნახვრეტები.

ნახ. 3

დეტალების გამოყვანები დაყრდნობილია ნაბეჭდ გამტარებზე და მირჩილულია მათზე. გამტარი ბილიკები შეიძლება ამოიჭრას მჭრელი დანის პირით ან ამომჭრელით, სახაზავის გამოყენებით, ისე, რომ არ იქნას გამოყენებული დაფის მოწამვლის პროცედურა. არასაჭირო ფოლგა გამტარებს შორის მოშორდება ნებისმიერი ხერხის გამოყენებით, მაგალითად იგივე დანის გამოყენებით. ამ სამუშაოს შემსუბუქებისათვის სასარგებლოა ფოლგის გახურება სარჩილავით.

დამზადებული ნაბეჭდი დაფა თავსდება შესაბამისი ზომების კორპუსში, რომელიც დამზადებულია ნებისმიერი მასალისაგან. საავტორო ვარიანტში გამოყენებულ იქნა მეტალის ყუთი 100*60*30 მმ - ის ზომებით, რომელზეც გადაკრულია დეკორატიული აფკი. ძედა სახურავზე განლაგებულია კვების გამომრთველი SA1 და გამომავალი სიგნალების გამომრთველები SA2 – SA5. გამომავალი გასართველებად XT1, XP1 და XP2 ვარგისია ნებისმიერი სახის, უფრო მეტიც, მათ გარეშეც შეიძლება იოლად წასვლა თუ კი გამოვიყვანოთ სამ

გამომავალ მავთულს კორპუსის გვერდითი საფარის ნახვრეტში. მავთულები უნდა მთავრდებოდნენ შუპებით ანდა “ნიანგებით”.

გამართულად მომუშავე დეტალებისაგან აწყობილი გენერატორი გაწყობას პრაქტიკულად არ თხოულობს. მაშინვე იწყებს მუშაობას. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება შერჩეულ იქნას გენერაციის საჭირო სიხშირე C1, C2 კონდენსატორების ანდა R3,R4 წინააღმდეგობების ცვლილებით. სასარგებლო იქნება აგრეთვე გამომავალი სიგნალების დონის კორექტირებაც R5 – R7 წინააღმდეგობების ცვლილებით.

ლიტერატურა

1. **Иванов Б. С.** Осцилограф – Ваш поощник. Приложение к журналу «Радио». – М., 1991

2. **Борисов В. Г., Партин А.С.** Практикум Радиолюбителя о цифровой технике. Приложение к журналу «Радио». - М., 1991

წყარო: Радио, 2002, № 6, с. 58

5. 1500 ვატიანი ბგერითი სიხშირის მაძლიერებელი

აღნიშვილი დავითი

მაძლიერებელმა შეიძლება განავითაროს 2კვტ სიმძლავრე პიკურად, ანდა 1,5 კვტ უწყვეტად, რაც იმას ნიშნავს, რომ მან შეიძლება მწყობრიდან გამოიყვანოს თქვენთვის ცნობილი დინამიკებიდან უმრავლესობა. მოქმედებაში ასეთი სიმძლავრის წარმოდგენისთვის თქვენ შეგიძლიათ შეაერთოთ (რასაც არავითარ შემთხვევაში არ გირჩევთ) ორი მიმდევრობით შეერთებული 8-ომიანი დინამიკი ცვლადი დენის 220 ვოლტიან წრედში. ამ შემთხვევაში თითოეულ დინამიკზე მოდებული იქნება 110 ვ მოქმედი ძაბვა 8 ომ დატვირთვის შემთხვევაში, რაც უდრის

1,5 კვტ - ს. როგორ ფიქრობთ, რამდენხანს იმუშაებს ასეთ რეჟიმში აკუსტიკა? თუ კი თქვენ ამის შემდეგ არ დაკარგავთ სურვილს ამ გამაძლიერებლის აწყობისა მაშინ გავაგრძელოთ შემდეგ ...

გამაძლიერებლის აღწერა

მოდით ჯერ გავარკვიოთ 1,5 კვტ სიმძლავრის მიღების მოთხოვნის რაობა 4 ომ წინააღმდეგობაზე. ამ შემთხვევაში ჩვენ დაგვჭირდება 77.5 ვ მოქმედი ძაბვის გამოყენება, მაგრამ ამასთანავე ჩვენ უნდა გვკონდეს ძაბვის რაღაც მარაგი, რადგანაც დატვირთვაზე ძაბვა ყოველთვის მცირდება, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ტრანზისტორების ემიტერ-კოლექტორების

გადასვლებზე და ემიტერში ჩართულ რეზისტორებზე ყოველთვის იქნება რაღაც ძაბვის კარგები.

ამრიგად კვების მუდმივი ძაბვა უნდა იყოს...

$$V_{DC} = V_{RMS} * 1.414$$

$$V_{DC} = 77.5 * 1.414 = \pm 109.6 \text{ ვ}$$

რადგანაც ჩვენ ჯერ კიდევ არ მიგვიღია მხედველობაში კარგები ამიტომ მას კიდევ უნდა დაუმატოთ **3-5 ვ** გამაძლიერებლის დამამთავრებელი კასკადისათვის და აგრეთვე დამატებითი **10 ვ** სრულ დატვირთვაზე ძაბვის ვარდნის კომპენსაციისათვის.

ორ გრაგნილიანი (მეორადი გრაგნილები) ტრანსფორმატორი ე.ი **2 X 90 ვ** მოგვცემს ძაბვას დატვირთვის გარეშე **±130 ვ** (**260** ვოლტს გამმართველის განაპირა წერტილებს შორის), ასე რომ კვების წყაროსთან მუშაობისას საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა.

მაძლიერებლის დამამთავრებელი კასკადისათვის, როგორც ყველაზე შესაფერისი, შერჩეულ იქნა ბიპოლარული ტრანზისტორები. ეს უპირველეს ყოვლისა ნაკარნახევი იყო გამოყენებული კვების ძაბვის სიდიდით რაც აჭარბებს **MOSFET** ტრანზისტორების უმრავლესობისათვის დასაშვებ ზღვრულ ძაბვას. ეს ძაბვა ბიპოლარული ტრანზისტორებისთვისაც მეტია, მაგრამ **MJ15004/5** ან **MJ21193/4** შეესამამებთან მოთხოვნებს მაქსიმალური ძაბვის მიხედვით და ამიტომ ჩვენ მათზე შევჩერდებით.

ამის შემდეგ აუცილებელია ვიფიქროთ ტრანზისტორებზე გამოყოფილი ჭარბი სიმძლავრის გაფანტვასა და მათ ინტენსიურ გაგრილებაზე. რადგანაც დატვირთვაზე **65 ვ** - ის დროს გაფანტული სიმძლავრე უარეს შემთხვევაში მიაღწევს...

$$P = V ? / R = 65 ? / 4 = 1056 \text{ ვტ} - \text{ს.}$$

ანუ იგი ტოლია საშუალო სტატისტიკური ელექტროგამახურებლების სიმძლავრისა.


გახსოვდეთ, რომ **45°** ფაზური ძვრისათვის აქტიური დატვირთვის პირობებში გაფანტული სიმძლავრე თითქმის ორმაგდება. აქედან გამომდინარეობს ის, რომ კარგი გაცივება სასიცოცხლოდ აუცილებელია ამ გამაძლიერებლისათვის. თქვენ დაგჭირდებათ კარგი რადიატორები და

ვენტილიატორები იძულებითი გაგრილებისათვის (ბუნებრივი გაგრილება ვერ გიშველით).

MJ15024/5 (ან **MJ21193/4**) ტრანზისტორები **K-3** კორპუსში (რკინის ორი გამოყვანით, ისე როგორც **KT825/827** ტრანზისტორებს). ისინი გაანგარიშებული უნდა იყვნენ **250 ვტ** გაფანტულ სიმძლავრეზე **25°C** ტემპერატურის დროს. ტრანზისტორის **K-3** კორპუსი შერჩეულია იმისთვის, რომ მას აქვს ყველაზე მაღალი ნომინალური გაფანტვის სიმძლავრე, რადგანაც მისი თბური წინააღმდეგობა ნაკლებია პლასტმასის კორპუსში მოთავსებულ ნებისმიერ ტრანზისტორისაზე.

MJE340/350 ტრანზისტორი ძაბვის მაძლიერებლის კასკადში მუშაობისას იძლევა კარგ ხაზოვნობას, მაგრამ კასკადში 12 მა დენის დროსაც კი სიმძლავრე ტოლია **0.72 ვტ**, ასე რომ **Q4, Q6, Q9** და **Q10** ტრანზისტორებსაც უნდა ჰქონდეთ სითბოს ამრინებლები. ტრანზისტორი (**Q5**), რომელიც განსაზღვრავს დამამთავრებელი კასკადის წანაცვლებას უნდა იყოს დასმული საერთო რადიატორზე დამამთავრებელთან და უნდა ჰქონდეს საიმედო თბური კონტაქტი.

მოკლე შერთვისაგან დაცვის სქემა (**Q7, Q8**) ზღუდავს დენს **12 ა - ს** დონეზე და ერთი ტრანზისტორის მიერ განვითარებულ სიმძლავრეს **175** ვატამდე, ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ მაძლიერებლის ხანგრძლივი მუშაობა ამ რეჟიმში დაუშვებელია.



ნახ. 1. პროფესიონალური მაძლიერებლის სქემა 1500ვტ.

უკუ კავშირის დამატებითი ელემენტები (**R6a** და **C3a** ნაჩვენებია პუნქტურით) არის ოპციონალური. ისინი შეიძლება აუცილებელი გახდეს მაძლიერებლის თვითაღზნების შემთხვევაში. უკუ დიოდები (**D9** და **D10**) აქტიურ

დატვირთვაზე მუშაობისას იცავენ ტრანზისტორებს უკუ ე.მ.ძ-ისაგან. **1N5404** სერიის დიოდებმა შეიძლება გაუძღონ პიკურ დატვირთვას **200** ამპერამდე. ნომინალური ძაბვა უნდა იყოს არანაკლებ **400** ვოლტისა.


VR1 100 ომიანი რეზისტორი გამოიყენება მაძლიერებლის ბალანსირებისათვის მუდმივ დენზე. კომპონენტების სქემაზე მითითებული ნომინალების შემთხვევაში, საწყისი წანაცვლება, გაწყობის წინ, უნდა იყოს ± 25 მგ-ის საზღვრებში. **VR2** რეზისტორი გამოიყენება დამამთავრებელი კასკადის სიმშვიდის დენის დასაყენებლად. სიმშვიდის დენის აწყობა ხდება **R19** ან **R20** რეზისტორებზე ძაბვის გაზომვით, რომელიც უნდა იყოს **150 მვ** - ის საზღვარში. შესასვლელი კასკადის მგრძობიარობა უნდა იყოს **1.77 ვ 900 ვტ** - ის შემთხვევაში **8 ომზე**, ანდა **1800 ვტ 4 ომზე**.

კეების წყარო.

მაძლიერებლისათვის განკუთვნილი კეების წყარო მოითხოვს სერიოზულ მიდგომას პროექტირებისას. ჯერ ერთი თქვენ დაგჭირდებათ დამადაბლებელი ტრანსფორმატორი მინიმუმ **2 კვტ** სიმძლავრის. ფილტრის კონდესატორები უნდა იყოს გაანგარიშებული **150 ვ** - ზე და უნდა აიტანონ **10** ამპერამდე პულსირებული დენი. ის კონდესატორები, რომლებიც არ შეესაბამებიან ამ მოთხოვნებს შეიძლება უბრალოდ აფეთქდნენ სრულ სიმძლავრეზე მუშაობის დროს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ბოგირული გამმართველი. **35** ამპერიანი ბოგირები თითქოსდა შეიძლება პასუხობდნენ დასმულ ამოცანას, მაგრამ პიკური მრავალჯერ განმეორებადი დენი აჭარბებს ბოგირის საპასპორტო მონაცემებს.

მე გირჩევთ გამოიყენოთ ორი პარალელურად ჩართული ბოგირი, როგორც სქემაზეა ნაჩვენები. ბოგირული გამმართველის ნომინალური ძაბვა უნდა იყოს მინიმუმ **400 ვ** და ისინი დასმულ უნდა იყოს გაცივებისათვის საკმარის სითბის ამრინებელზე.



ნახ. 2. 1500 ვატიანი მაძლიერებლის კვების ბლოკის სქემა.

სქემაზე ნაჩვენებია კონდესატორები რომლების შედგენილია ოთხი დაბალძაბვიანი კონდესატორებისაგან, რადგენ მათი შოვნა უფრო იოლია. გამმართველიც აგრეთვე შედგება ორი პარალელურად შეერთებული ბოგირისაგან.

დამატებითი კვების წყაროები 5 ვ შეიძლება გაუქმებულ იყოს, შედეგად პიკური სიმძლავრე შემცირდება 2048 ვტ - იდან 1920 ვტ - მდე, რასაც დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

P39 მოდული არის რბილი გაშვების სისტემა და შედგება რელესაგან რომლის კონტაქტების პარალელურად ჩართულია რეზისტორები 150 ვტ - ის ჯამური სიმძლავრით და 33 ომის რეზულტირებული წინააღმდეგობით.

6. ქსელის ძაბვის სიგნალიზატორი


ბასილიძე ნიკო

ესეთი მოწყობილობა სასურველია ჩაშენდეს ქსელის გამთიშველში ან შტეფცველში, რაც აიოლებს მის მოძებნას სიბნელეში. ასევე იგი შეიძლება დამზადდეს მისადგმელის სახით ელექტრო მოწყობილობისთვის, იმისთვის რომ გვქონდეს ხილვადი ინფორმაცია (შუქის სახით) მოწყობილობის ქსელში ჩართულობის შესახებ.

სიგნალიზატორი (იხილეთ ნახ. 1) დამზადებულია მოციმციმე შუქდიოდის HL1-ის ბაზაზე, რომელიც VT1 ტრანზისტორის კასკადთან ერთად წარმოქმნის მარტივ ორფაზიან გენერატორს, შუქური იმპულსების სახლით. ეს მოწყობილობა იკვებება ქსელიდან უტრანსფორმატორო გამმართველის გავლით,

რომელიც შესრულებულია ჩამქრობი კონდესატორის C1 და დიოდური ხიდის VD1 გამოყენებით. R1 რეზისტორი ზღუდავს ხიდის დიოდებში გამავალი დენის რყევებს, ხოლო R2 რეზისტორი განმუხტავს კონდესატორის სიგნალიზატორის ქსელიდან გამორთვის შემდგომ.

ფილტრის კონდესატორი C2 დაიმუხტება მიახლოებით 6 ვოლტ ძაბვამდე. იგი R3 შემზღუდავი რეზისტორის გავლით ნაწილობრივ მიეწოდება მოციმციმე შუქდიოდს HL1, რომლის ნათების ციმციმის სიხშირე მიახლოებით 23ც-ის ტოლია.



ნახ. 1

შუქდიოდის ნათების დროს ძაბვა ტრანზისტორის ბაზაზე, რომელიც მიწოდება რეზისტორების R5, R6 (ძაბვის გამყოფის) გავლით, არ აღემატება 0.55 ვოლტს, რაც არ არის ტრანზისტორის გაღებვისათვის საკმარისი. მაგრამ როგორც კი შუქდიოდი ჩაქვრება, ძაბვა მის ანოდზე, ანუ, ასევე ტრანზისტორის ბაზაზე იზრდება. ტრანზისტორი იხსნება და აინთება შუქდიოდი HL2. ამგვარად შუქდიოდები მონაცვლეობით ინთებიან, რომლის ნათების სიხშირესაც განსაზღვრავს HL1 შუქდიოდის მახასიათებლები.

მოწყობილობაში გამოყენებულია იმპორტული საზღვარგარეთული მწვანე ფერის მოციმციმე შუქდიოდი, რომლის დიამეტრიც 5 მმ-ია. ნათების სიმძლავრე ნომინალური დენის დროს 20 მკდ-ია. გამოდგება აგრეთვე L56BID წითელი ფერის შუქდიოდი, ან ნებისმიერი სხვა მოციმციმე შუქდიოდი, რომლის დიამეტრიც იქნება 3.5 ან 10 მმ.

ტრანზისტორი შეიძლება იყოს ნებისმიერი КТ315, КТ342, КТ503, КТ3102 რომლის გადაცემის კოეფიციენტი ბაზის დენის მიმართ არ არის 100-ზე ნაკლები.

დიოდური ხიდი КЦ422Г დასაშვებია შეიცვალოს КЦ407А, КД906А ან 4 დიოდით КД102Б, КД221В, КД221Г და КД209 დიოდების სერიიდან ნებისმიერი. კონდესატორი C1 სერიიდან K73-16, K73-17, K73-21 არანაკლებ 400 ვოლტი ძაბვით. C2- 50-35 ან იმპორტული მცირე გაბარიტიანი ანალოგით 16 ვოლტ ძაბვაზე. R1 რეზისტორი სასურველია გამოვიყენოთ P1-7, P1-25 სერიიდან, დასაშვებია მის ნაცვლად გამოყენებულ იქნას ვარვარების ნათურა რომლის მუშაობისთვის საჭიროა 12-24 ვოლტი ძაბვა და 0,1-0,15 ამპერი დენი. დანარჩენი რეზისტორები МЛТ-ის ტიპის შესაბამისი სიმძლავრეებით.

სიგნალიზატორის დეტალები სასურველია განლაგდეს დაფაზე ზომებით 35×50 მმ ნებისმიერი სახს მონტაჟით. მოწყობილობის გაბარიტების შემცირებისთვის დასაშვებია კონდესატორები დამაგრდეს პლატის ჭრილებში დაწოლილ მდგომარეობაში. შუქდიოდს ათავსებენ ჩამრთველის დეკორატიულ ხუფზე ან საყოფაცხოვრებო ელექტრო მოწყობილობების კორპუსზე. იგი მაგრდება ეპოქსიტის ან წებო “მომენტის” საშუალებით. შუქდიოდის კარგი მოჭიდებისათვის აუცილებელია წებოს წასმის წინ ჩამრთველის ზედაპირი გაიხეხოს მსხვილი სახეხი ქაღალდით. შესაძლებელია ამ მოწყობილობის დაყენება აგრეთვე ელექტრო ხელსაწყოს შიგნითაც.

ყველა შემთხვევაში შუქდიოდების, პლატის და მთელი მოწყობილობის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 60°C.

მოწყობილობის მისაერთებლად ქსელთან და შუქდიოდების პლატასთან უკეთესია გამოყენებული იყოს მრავალწვერიანი სადენი МГТФ.

თუ სიგნალიზატორი იქნება ჩამონტაჟებული ჩამრთველში ან შტეფცელში, შიგნით არ შეიძლება არავითარ შემთხვევაში პლატის იზოლაციის მიზნით მისი შეფუთვა საიზოლაციო ლენტით ან წებოვანი ქაღალდით, უმჯობესია გამოყენებული იყოს მინა ბოჭკოვანი ნაჭერი ან ქარსი. შესაძლებელია გამოყენებული იყოს სატრუსით გავარვარებული მინატექსტოლიტის ნაჭერი. ფოლგის მოშორების შემდეგ წინასწარ გამოწვასახდენენ ღია ჰაერზე.

შუქდიოდების დიდი სიკაშკაშე შეიძლება მიღწეული იყოს C1 კონდესატორის დაყენებით რომლის ტევადობა ტოლი იქნება 0,15 ან 0,22 მკფ. ამ ვარიანტში სასურველია გამოყენებული იქნას მაღალი ძაბვის კონდესატორი C2. შუქდიოდების ერთნაირი სიკაშკაშის მისაღწევად აყენებენ R3 ან R4 რეზისტორებს შერჩევით მინიშნებული ნომინალების 30%-იან ფარგლებში.

თუ გვაქვს 6 ვოლტიანი სტაბილიზირებული კვების ბლოკი, სასურველია საცდელი გამოცდა ჩატარდეს მისი გამოყენებით C2 კონდესატორზე ამ

ყურადღება! კონსტრუქციები, რომლებიც გაღვანურად დაკავშირებული არიან ცვლადი დენის მაღალი ძაბვის ქსელებთან, საშიშნი არიან სიცოცხლისთვის დენის დარტყმის შემთხვევაში. ამიტომ მისი დამზადების, დაყენების, გაწყობის და ან ექსპლუატაციის შემთხვევებში აუცილებელია მკაცრად იყოს დაცული ელექტროუსაფრთხოების ყველა წესი.

პირველ რიგში, კორპუსის კონსტრუქცია დამზადებული უნდა იქნას საიზოლაციო მასალისაგან და შესრულებული ისეთნაირად, რაც გამორიცხავს ელექტრო გამტარებისა და დეტალების გაშიშვლებულ გამოყვანებთან შემთხვევითი შეხების შესაძლებლობას. მართვის ორგანოების გარეთ გამომავალ ყველა ნაწილზე აუცილებელად ჩამოცმულ უნდა იყოს საიზოლაციო მასალებისაგან დამზადებული სახელურები.

მეორე რიგში, მოწყობილობის შრომისუნარიანობის გასინჯვისას არავითარ შემთხვევაში არ დაიშვება მის შემადგენელ დეტალებზე ანდა წრედის ცალკეულ ნაწილებზე ხელით შეხება. ყველა შეცვლა უნდა მოხდეს მისი წრედიდან გამორთვის შემდეგ.

თუ კონსტრუქცია გათვალისწინებულია რაიმე გარე დატვირთვის მართვისათვის, მაშინ ჯერ ამ დატვირთვას მიაერთებენ და შემდეგ ჩართავენ გასართს ქსელურ ჩასართში.


წყარო: Радио, 2003, № 3, с. 58

7. წყლის ტუმბოს მუშაობის მართვის ავტომატი ბასილიძე ნიკო

ბევრ სააგარაკე და სასოფლო სამეურნეო ნაკვეთებში აქვთ წყლის რეზერვუარი, რომელშიც წყლის მარაგის შესანარჩუნებლად პერიოდულად ვრთავენ წყლის ტუმბოს. ამ ოპერაციის ავტომატურად შესრულება არ წარმოადგენს სირთულეს.

შემოთავაზებული ავტომატის სქემა ნაჩვენებია ნახ. 1-ზე. წყლის დონის მაჩვენებელი (გადამწოდი) წყლის რეზერვუარში ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ გერკონის კონტაქტები SF1 იკვრებოდეს მაშინ, როდესაც წყლის დონე მინიმალური ზღვარის ქვემოთაა, ხოლო SF2 კონტაქტები უნდა იკვრებოდეს

მაშინ, როდესაც წყლის დონე მიაღწევს მაქსიმალურ დასაშვებ ზღავს. VT1 ტრანზისტორზე აგებული გასაღები მართავს შუალედური მცირე სიმძლავრის K1 რელეს. ამსრულებელი K2 რელე უფრო მძლავრია. შუქდიოდი HL1 მუშაობს როგორც ავტომატის მდგომარეობის მაჩვენებელი ინდიკატორი. დიოდები VD1 და VD2 აქრობენ რელეების გრაგნილებზე ძაბვის კომეტაციურ რყევებს. მოწყობილობების კვებისთვის გამოდგება ნებისმიერი მუდმივი დენის წყარო ძაბვით +24...27ვ რომელიც უზრუნველყოფს დენის დატვირთვის ძალას 200 მამდე.



ნახ. 1


თუ SF1 გერკონის კონტაქტები ჩართულია VT1 ტრანზისტორი იღება. რელე K1 ამუშავდება და თავისი K1.1 კონტაქტით შეკრავს წრედს, რომელიც ამყოფებს ტრანზისტორს ღია მდგომარეობაში SF1 კონტაქტების გათიშვის შემდეგაც. K1.2 შეკრული კონტაქტების გავლით კვება მიეწოდება რელე K2, რომელიც რთავს წყლის გადამქაჩი ტუმბოს ელექტრო ძრავს. HL1 შუქდიოდი ინთება რაც მიანიშნებს, რომ ბრძანება ელექტრო ტუმბოს ჩართვაზე გაცემულია.

რეზერვუარის შევსებისას SF2 გერკონის ამუშავების დონემდე მისი კონტაქტები დააშუნტებენ ტრანზისტორ VT1-ის ბაზურ წრედს. ტრანზისტორი ჩაიკეტება, K1 და K2 რელეებს კება შეუწყდებათ, რაც გამოიწვევს ელექტრო ტუმბოს გათიშვას კვებიდან. შუქდიოდი HL1 ჩაქრება და მოწყობილობა დარჩება ამ მდგომარეობაში SF2 გერკონის კონტაქტების გათიშვის შემდეგაც, მანამდე სანამ წყლის დონე რეზერვუარში არ დაიწევს გერკონ SF1-ის კონტაქტების ჩართვისათვის საჭირო ზღვარამდე.

ავტომატში გამოყენებულია რეზისტორი – MLT, გერკონი – M33 DMK P-2. რელე K1 – PEC-9 (PC4.524.200), K2-RMY(PC4.523.330). ყველა ამ ელემენტის შეცვლა დასაშვებია სხვა ანალოგიური პარამეტრების მქონე დეტალებით. მონტაჟი სრულდება ჩამოკიდების მეთოდით. მთელი მოწყობილობა გერკონების გარდა თავსდება შესაბამისი ზომების კორპუსში, რომელიც დამზადებულია საიზოლაციო მასალისაგან. მაგრდება წყალთან მიუღწევად ადგილას და გერკონებთან შეაერთებენ სამწვერიანი გამტარით.

გადამწოდის ერთ-ერთი შესაძლებელი ვარიანტი ნაჩვენებია ნახ. 2-ზე. ტიპტივა 2 აღჭურვილია ღერძით 3, რომელიც დაცოცავს 4 და 6 მიმმართველებში. ისინი დამაგრებულია 1 რეზერვუარის კედლებზე. მე-3 ღერძზე დამაგრებულია მუდმივი მაგნიტი 5. თუ წყლის დონე მინიმალურია ან მასზე ნაკლები, მაგნიტი 5 დევს ქვედა მიმმართველზე 4 და თავისი მაგნიტური ველით იწვევს გერკონ 8-ის ამუშავებას. (ნახ. 1-ის მიხედვით SF1). თუ წყლის დონე მაქსიმალურია, მაშინ მაგნიტი 5 ზედა მიმმართველ 6-თან მისვლისას, იწვევს გერკონ 7-ის (SF2) ამუშავებას.

ავტომატური მოწყობილობის გამოსაყენებლად წყლის ამოტუმბვის მართვისათვის რეზერვუარიდან, სადაც წყლის დონე უკვე მაქსიმალურს მიუახლოვდება, საკმარისია შევცვალოთ გერკონების ადგილმდებარეობა ერთმანეთთან.



ნახ. 2

წყარო: Радио, 2003, № 8, с. 46

8. ტემპერატურა-ძაბვის მარტივი გარდამქმნელი ბეზია ვერიკო

დაბალანსებული დიფერენციალური შემსვლელის მქონე მაძლიერებლისათვის (ნახ. 1) იმ პირობით, თუ $R_{11}=R_{111}=R_1$ გამომსვლელი ძაბვა განისაზღვრება გამოსახულებით [1]:


$$U_{გაგ.} = U_{შეს.} (R_2 - R_3) / (R_1 + R_3).$$

(1)

უარყოფითი უკუკავშირის წრედში R2 რეზისტორის ნაცვლად შეიძლება ჩაირთოს თერმოგადამწოდი ხაზური მახასიათებლით, რომლის წინააღმდეგობაც ტემპერატურასთან დამოკიდებულებაში ტოლია:

$$R_t = R_0 + at$$

(2)



ნახ. 1

აქ, R_0 - თერმოგადამწოდის წინააღმდეგობაა $0\text{ }^{\circ}\text{C}$ -ის დროს; a - ტემპერატურული მგრძობიარობის კოეფიციენტი, $\text{ომ}/^{\circ}\text{C}$; ხოლო t - ტემპერატურა, $^{\circ}\text{C}$.

თუ მივიღებთ, რომ წინააღმდეგობა $R3$ ტოლია R_0 -ის, მაშინ:


$$U_{გა.} = - U_{გს.} at / (R1 + R_0) \tag{3}$$

$$\text{თუ ვუზრუნველყოთ პირობას, რომ: } U_{გს.} at / (R1 + R_0) \tag{4}$$

მაშინ, როგორც გამოდის (3) გამოსახულებიდან, ოპერაციული მაძლიერებლის გამოსასვლელზე მივიღებთ ძაბვას, რომელიც რიცხობრივად თერმოგადამწოდის ტემპერატურის ტოლი იქნება. $R1$ წინააღმდეგობა, რომელიც უზრუნველსაყოფს ამ პირობას განისაზღვრება შემდეგი თანაფარდობით

$$R1 = a \frac{U_{გს.}}{U_{გა.}} - R_0 \tag{5}$$

გარდამქმნელის კარგი სტაბილურობის მისაღებად აუცილებელია გამოვიყენებუი იქნეს მაღალხარისხოვანი ოპერაციული მაძლიერებელი, მაგ. K140YD17A.



ნახ. 2

ასეთი გარდამქმნელის გამოყენების შესაძლებლობა KP572ΠB5 ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელის ბაზაზე მულტიმეტრის მისაყენებელის როლში ნაჩვენებია ნახ. 2 -ზე. მისაყენებელი იკვებება მულტიმეტრის ბატარეით. ტემპერატურის გაზომვას აწარმოებენ ძაბვის 200 მვ. შკალაზე.

ტემპერატურის რეზისტორულ გადამწოდით გამოიყენება სტანდარტული თერმოგადამწოდი პარამეტრებით: $R_0=50\text{ომ}$, $a=0,214\text{ომ/}^\circ\text{C}$. გარდამქმნელისათვის $S_{\text{ჟს}}$. ძაბვა, რომელიც შეესაბამება ამ მიზნისთვის გამოყენებული ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელის შიგა სტაბილიზატორიდან მიღებულ სანიმუშო ძაბვას, ტოლია 3 ვ-ის (2). რადგან ძაბვა იზომება მილივოტლებში, (5) გამოხატულებით მივიღებთ $R1 = 3000 \cdot 0,214 \cdot 50 = 592\text{ომ}$.

ხიდის ბალანსირება ხდება $R5$ რეზისტორის გამოყენებით, მაშინ როდესაც გადამწოდის მაგივრად ჩართულია რეზისტორი $R = R3 = R_0$.

$R1$ და $R2$ რეზისტორების ნომინალის განსაზღვრისათვის რეკომენდირებულია მულტიმეტრის ყოველი კონკრეტული ეგზემპლარისათვის გაიზომოს $S_{\text{ჟს}}$. სიდიდე. გამოზვას ახდენენ მულტიმეტრის V/Ω შესასვლის შეერთებით კვების ბატარეის პლიუსურ გამოსასვლელთან. მულტიმეტრის მეორე (უქმ) შემსვლელის ტოვებენ შეუერთებელს.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ნახ. 2 - ზე მოცემული სქემით მისაყენებელი მოწყობილობის შეერთება მულტიმეტრთან გამოიხატება <-> ნიშნით ტემპერატურის დადებით მნიშვნელობების შემთხვევაში და ნიშნით <+> პირიქით, ტემპერატურის უარყოფითი მნიშვნელობების შემთხვევაში. ამ

უხერხულობის აღმოფხვრა შეიძლება, თუ მისაყენებელი მოწყობილობის კვებისთვის გამოიყენებთ გარე ორპოლარულ სტაბილიზირებულ კვების წყაროს. ამ დროს მისაყენებელი მოწყობილობის რეზისტორი ღ3 ერთება კვების წყაროსი შუაწერტილთან (საერთო სადენტან). თუ გაზომვის მაღალი სიზუსტე არაა აუცილებელი, მაშინ ცელსიუსის შკალის ნამდვილი ნიშნის გამოსატვისათვის საკმარისია შეიცვალოს ერთმანეთში ელემენტების R4 (R1) და R3 - ის (ნახ. 2) შეერთების ადგილები. გაზომვის სისტემატური ცდომილება ამ შემთხვევაში შეადგენს 1 °C – ს 50 °C – ის დროს და 3 °C – ზე ცოტა მეტს 100 °C – ის დროს.

სტანდარტული გადამწოდის არარსებობისას ის შეიძლება დამზადდეს თვითნებურად ლიტერატურაში [3] აღწერილი რეკომენდაციებით R1, R2 რეზისტორების წინააღდეგობების დაზუსტებითა და მასალის ტემპერატურული გაეფიცინტის მგრძობიარობის გათვალისწინებით. გარდამქმნელში სასურველია გამოყენებული იქნეს პრეციზიონული რეზისტორები C2-29 (ან ანალოგიურები) მეზობელი ნომინალებით E96 ან E192 რიგიდან. ბოლო-ბოლო, შეიძლება იმავე მულტიმეტრის დახმარებით შეირჩეს მეტალოდიელექტრიკული რეზისტორების ახლობელი ნომინალებიდან ის ეგზემპლიარები, რომლებიც ახლოს არიან წინააღდეგობების გაანგარიშებულ მნიშვნელობებთან.

ლიტერატურა

1. Алексеев А. Г. , Коломбет Е. А. Стародуб Г. И. Применение прецизионных аналоговых микросхем. 2-е изд. – М. Радио и связь. 1985. с. 75, 76.

2. Бирюков С. ბირიუკოვის. Применение АЦП КР572ПВ5 - Радио, 1998, № 8, с. 62 - 65.

3. Хоменков Н., Зверев А. Цифровой термометр. Радио, 1985, № 1, с. 47 - 49.

წყარო: Радио, 2003, № 3, с. 23

9. საბეჭდი სქემის ფოტოშაბლონის დამზადება

ბეზია ვერიკო

მრეწველობაში, საბეჭდი სქემის ფოტოშაბლონების დამზადების ტექნოლოგიურ პროცესში გამოიყენება ძვირადღირებული სპერციალური მოწყობილობა, რომლის შექმნაც ყველა წარმოებას არ შეუძლია. ამიტომ, ბევრი კონტრუქტორი და რადიომოყვარული იძულებულია ეძებოს ფოტოშაბლონების დამზადების შედარებით იაფი გზები.

ერთ-ერთი ასეთია ფოტოშაბლონის დამზადება და ლაზერულ პრინტერზე. რომ მივიღოთ მაღალხარისხოვანი საბეჭდი გამტარების ნახაზის შავ-თეთრი გამოსახულება, რომელიც გამოყენებული იქნება ფოტოშაბლონად, სავსებით საკმარისია 600 * 600 დპი-ს გარჩევადობის (42 მკმ) ნებისმიერი ლაზერული პრინტერი. ესენია, მაგალითად ფირმა Hewlett-Packar-ის Laserjet 5L და Laserjet 1100 პრინტერები.

თუ ავტომატიზირებული პროექტირების სისტემაში ACCEL EDA (P-CAD 200) საბეჭდი სქემის ინფორმაციის პრინტერზე გამოყვანის პრობლემები არ წარმოიქმნება, სამაგიეროდ P-CADv4.5 – ის მომხრეებისთვის ყველაფერი არც ისე ადვილია.

სანამ გადმოვბეჭდავდით პრინტერზე საბეჭდი სქემის გამოსახულებას, საჭიროა PC-CARDS პროგრამის დახმარებით ჩვენს ხელთ არსებული საწყისი ფაილიდან გაფართოებით PCB მივიღოთ ფაილი ფორმატით PLT. შემდეგ საჭირო იქნება ჩაიტვირთოს პროგრამა PC-PRINT-ი და დაყენდეს შემდეგი სახის კონფიგურაცია.

PC-PRINT Configuratio:

Defolt configuration PC-PRINT.CPG

Print portLPT1

Output devicedisk

Memory size Laser printers Only)1024kb

Dfolt printer Laser Jet + Printer (HP)

Defoltpapr sizeA

Graphics densitihigh

Plotslow

Text dimensions (% of text size):

Text character width (including space) ... 70%

Text character height80%

Cpace below text line10%

Cpace above text line10%

Cpace from top of text to bar20%

შევინახავთ რა ზემოთ აღნიშნულ კონფიგურაციას pcprint.cfg ფაილში შემდგომ გამოიყენებენ ადრე მიღებულ ფაილს PLT. მაგრამ, ჯერ განვიხილოთ კონფიგურაციის ძირითადი პარამეტრები ცალკე-ცალკე.

1. **Output device** - გამოსაყვან მოწყობილობად დანიშნულ უნდა იყოს disk. ამ შემთხვევაში პროგრამის მუშაობის ალგორითმი შეინახება მყარ დისკზე ფაილის სახით, დამოუკიდებლად იმისა, შეერთებულია თუ არა კომპიუტერთან ლაზერული პრინტერი.

2. **default printer** – პრინტერად აღებული უნდა იქნეს Laser Jet + printer (HP). რეზულტატში ფაილები მყარ დისკზე შენარჩუნდება HPP გაფართოებით. მიღებული ფაილები შეიძლება კოპირებული იქნეს ნებისმიერ კომპიუტერზე, რომელზეც მიერთებულია ლაზერული პრინტერი და დაიბეჭდოს, იმ შემთხვევაშიც კი თუ მასზე არ იქნება დაყენებული, P-CADv4.5, ამისათვის საჭიროა ბრძანებათა და სტრიქონში ჩაიწეროს: copy ფაილის სახელი hpp prn.

3. **Memory size** – მეხსიერების მოცულობა, სიჩუმით – 64 კბ-ია, რაც ნამდვილად არაა საკმარისი. ამიტომ, მოცულობა უნდა გაიზარდოს, 1024 კბ-მდე, წინააღმდეგ შემთხვევაში პრინტერზე შაბლონის ბეჭედა მოხდება არასრულად.

სურათზე ნაჩვენებია AM სიგნალების მიმღების სქემის ნაწილი, რომელშიც მიმღებ რადიოსადგურზე დაყენება და შემომავალი სიგნალების სელექცია ხორციელდება გირატორის დახმარებით („CQ ham radio”, 1995, January). ავტორისეული ვარიანტით ეს მიმღები განკუთვნილია დაბალსიხშირიანი სტანდარტების რადიოსადგურის სიგნალების მისაღებად, რომლებიც მუშაობენ 17...34ჰც სიხშირეებზე. რუსეთში ასეთი დროისა და სიხშირის სტანდარტი 66,(6)ჰც სიხშირეზე მუშაობს.

გირატორი, რომელიც ახდენს ინდუქციურობის თვისებების იმიტაციას, აწეობილია DA1 და DA2 ოპერაციული გამაძლიერებლებით, ასევე R1-R5 რეზისტორებით და C3 კონდენსატორით. ამ „კოჭას” ინდუქციურობის სიდიდის განსაზღვრა შეიძლება ფორმულიდან: $L = R1(R2 + R4)R5C3 / R3$. თუ ავირჩევთ R1=R3, მაშინ ეს ფორმულა მარტივდება $L = R5C3(R2 + R4)$ -მდე. სურათზე მოყვანილი ელემენტების ნომინალებისთვის R4- გარდამქმნელი რეზისტორით ექვივალენტური ინდუქციურობის გარდაქმნის დიაპაზონი იქნება დაახლოებით 11...44 მჰნ. ამასთან, C2- კონდენსატორიანი პარალელური შემომავალი „რხევითი კონტური”, 17...34ჰც სიხშირეებზე გადაწყობის საშუალებას იძლევა.

ამ „კონტურიდან” სიგნალი მიეწოდება რადიოსიხშირის გამაძლიერებელს DA3 ოპერაციულ გამაძლიერებელზე. მისი გაძლიერების კოეფიციენტის რეგულირება შეიძლება R6 ცვლადი რეზისტორით 0...40დბ –ის ფარგლებში.

ვგრეთწოდებული „პრეციზიული გამმართველი”(დეტექტორი)-ის კასკადი, DA4- ოპერაციულ გამაძლიერებელზეა. VD1 და VD2 დიოდები მასში

ჩართულია უარყოფითი უკუკავშირის ჯაჭვში, რაც მნიშვნელოვნად აწრფივებს მცირე სიგნალების დროს გადამცემ მახასიათებლებს.

ვინაიდან მიმღების საავტორო ვარიანტი გათვალისწინებული იყო წამიერი იმპულსების შემცველი სპეციალური სიგნალების მისაღებად, **RC-**ფილტრს დეტექტორის (**R12C5**) გამოსასვლელზე კვეთის სიხშირე სულ 163ც აქვს.

მიმღებში გამოყენებულია ოთხმაგი ოპერაციული გამაძლიერებელი 4136, რამაც საგრძნობლად გაამარტივა კონსტრუქცია. მასში შემავალი ოპერაციული გამძლიერებლების პარამეტრები ახლოსაა **K140YD8A**-ს პარამეტრებთან. **VD1** და **VD2** დიოდები – **1N38**. მათი შეცვლა შეიძლება ნებისმიერი მაღალსიხშირული გერმანიუმის დიოდებით, **D9**-დან დაწყებული სერიის დიოდებით.

Радио, 2003, №12, с.41


100. ძაბვის სტაბილიზატორი მძლავრ ველიან ტრანზისტორზე

შალამბერიძე გიორგი

სტატიაში აღწერილია ძაბვის ანალოგური სტაბილიზატორი გაძლიერებული კვების ბლოკისთვის. ავტორმა მოახერხა სტაბილიზატორის პარამეტრების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რისთვისაც ძალურ ელემენტად გამოიყენა გადამრთველი ველიანი ტრანზისტორი.

რადიომოყვარულები მძლავრდენიანი სტაბილიზატორების აწყობისას ჩვეულებრივ გამოიყენებენ 142 სერიის სპეციალიზირებულ მიკროსხემებს და ანალოგიურებს „გაძლიერებულს“ ერთი ან რამდენიმე, პარალელურად ჩართული, ბიპოლარული ტრანზისტორებით. თუ ამ მიზნებისთვის გამოიყენებთ ძალურ გადამრთველ ველიან ტრანზისტორს, მაშინ შესაძლებელია უფრო მარტივი, მძლავრდენიანი სტაბილიზატორის აწყობა.

ასეთი სტაბილიზატორის ერთ-ერთი სქემა მოყვანილია სურ. 1-ზე.



ნახ. 1

მასში ძალურის როლში გამოყენებულია ძლიერი ველიანი ტრანზისტორი IRLR2905. თუმცა ის განკუთვნილია გადამრთველ რეჟიმში სამუშაოდ, მოცემულ შემთხვევაში ის გამოიყენება წრფივ რეჟიმში. ღია მდგომარეობაში ტრანზისტორს აქვს არხის (0,027 Ohm) საკმაოდ მცირე წინააღმდეგობა, კორპუსის 100 C ტემპერატურამდე, უზრუნველყოფს დაბვას 30 ამპერამდე, ფლობს მაღალ მოხრილობას და დაბვის მართვისთვის საკეტზე მოითხოვს მხოლოდ 2,5 ... 3 ვოლტს [1]. ტრანზისტორის მიერ გაბნეულმა სიმძლავრემ შეიძლება შეადგინოს 110 ვატი.

საველე ტრანზისტორს მართავს KP142EH19(TL431) დაბვის პარალელური სტაბილიზატორის მიკროსქემა. მისი დანიშნულება, მოწყობილობა და პარამეტრები დაწვრილებით აღწერილია სტატიაში [2]. სტაბილიზატორი მუშაობს შემდგენაირად (სურ. 1). ქსელში T1 ქსელური ტრანსფორმატორის ჩართვისას, მის მეორე გრაგნილზე ჩნდება ცვლადი დაბვა დაახლოებით 13 ვოლტი (ეფექტური მნიშვნელობა). ის სწორდება VD1 დიოდური ხიდით და დიდი მოცულობის გამთანაბრებელ კონდენსატორზე (ჩვეულებრივ რამოდენიმე ათეული ათასი მიკროფარადი) გამოიყოფა მუდმივი დაბვა დაახლოებით 16 ვოლტი.


ის მიეწოდება VT1 ძალური ტრანზისტორის ჩასადინარს და R1 რეზისტორის გავლით ტრანზისტორის გახსნით, რითაც ხსნის მას. გამომავალი დაბვის ნაწილი R2R3 გამყოფის გავლით მიეწოდება DA1 მიკროსქემის შესასვლელზე და კრავს უკუკავშირის წრედს. დაბვა სტაბილიზატორის გამოსასვლელზე იზრდება იმ მომენტამდე, ვიდრე DA1 მიკროსქემის მართვის შესასვლელზე BY დაბვა არ მიაღწევს ზღურბლს, დაახლოებით 2,5 ვოლტს. ამ მომენტში მიკროსქემა იხსნება, ძალური ტრანზისტორის საკეტზე დაბვა მცირდება, ნაწილობრივ კეტავს მას და მოწყობილობა შედის სტაბილიზაციის რეჟიმში. C3 კონდენსატორი აჩქარებს სტაბილიზატორის სამუშაო რეჟიმში

შესვლას. გამომავალი ძაბვის მნიშვნელობა შეიძლება დამყარდეს 2,5-დან 30 ვოლტამდე R2 რეზისტორის შერჩევით, მისი მნიშვნელობა შეიძლება შეიცვალოს ფართო საზღვრებში. C1, C2 და C4 კონდენსატორები უზრუნველყოფენ სტაბილიზატორის მდგრად მუშაობას.

სტაბილიზატორის აღწერილი ვარიანტისთვის მარეგულირებელ ძალური VT1 ტრანზისტორზე ძაბვის ვარდნა შეადგენს 2,5 ... 3 ვოლტს, თუმცა ამ ტრანზისტორმა პოტენციურად შეიძლება იმუშაოს ნულთან ახლო ძაბვაზეც სათავე-ჩასადინარისათვის. მოცემული ნაკლი იმით არის განპირობებული, რომ საკეტზე მმართველი ძაბვა მიეწოდება ჩასადინარის წრედიდან, ამიტომ, მასზე ძაბვის ნაკლები მნიშვნელობის ვარდნისას, ტრანზისტორი არ გაიხსნება, გახსნილი ტრანზისტორის საკეტზე ხომ უნდა იყოს წყაროსთან შედარებით დადებითი ძაბვა.

სარეგულირებელ ტრანზისტორზე ძაბვის ვარდნის შესამცირებლად, მისი საკეტის წრედი უნდა იკვებებოდეს ცალკე გამმართველისგან 5 ... 7 ვოლტზე მეტი ძაბვით, ვიდრე სტაბილიზატორის გამომავალი ძაბვა. თუ არ არის დამატებითი გამმართველის გაკეთების საშუალება, მაშინ მოწყობილობაში შეიძლება შევიყვანოთ დამატებითი დიოდი და კონდენსატორი (სურ. 2). ასეთი უბრალო დამატებისგან შეიძლება დიდი ეფექტის მიღება. საქმე იმაშია, რომ ტრანზისტორის ჩასადინარზე მიწოდებული ძაბვა პულსირებულია, აქვს მნიშვნელოვნად დიდი ცვლადი შემადგენელი, რომელიც მატულობს მოხმარებული დენის გაზრდისას. VD2 დიოდის და C5 კონდენსატორის წყალობით საკეტზე ძაბვა იქნება დაახლოებით პულსირებული ძაბვის პიკური მნიშვნელობის, ანუ იგი შეიძლება რამოდენიმე ვოლტით მეტიც იყოს, ვიდრე მისი საშუალო ან მინიმალური მნიშვნელობა. ამიტომ სტაბილიზატორი ქმედითუნარიანია სათავე-ჩასადინარის ძაბვის საშუალოზე ნაკლები მნიშვნელობის შემთხვევაშიც.

საუკეთესო შედეგების მიღება შესაძლებელია, თუ VD2 დიოდს მიუერთებთ გამმართველ ხიდს (სურ. 3). ამ შემთხვევაში C5 კონდენსატორზე ძაბვა იმატებს, ვინაიდან VD2 დიოდზე ძაბვის ვარდნა იქნება ნაკლები, ვიდრე ძაბვის ვარდნა ბოგირის დიოდებზე, განსაკუთრებით მაქსიმალური დენის დროს. გამომავალი ძაბვის მდგრად რეგულირების საჭიროების შემთხვევაში, R2 რეზისტორი უნდა შეიცვალოს ცვლადი ან შეზუსტების რეზისტორით.




ნახ. 2

გამომავალი ძაბვის მნიშვნელობა შეიძლება განისაზღვროს ფორმულით

$$U_{გამ.} = 2,5 (1 + R2/R3)$$

მოწყობილობაში დასაშვებია ზემოთხსენებული ცნობარის ფურცელში მოყვანილი შესაბამისი ტრანზისტორის გამოყენება, სასურველია ყვითელი საკეტზე მმართველი ძაბვის მინიმალური მნიშვნელობა შეადგენს 4,5 ... 5 ვოლტს. კონდენსატორები – მცირეგაბარიტიანი ტანტალური, რეზისტორები – MJT, C2-33, P1-4.




ნახ. 3

დიოდე VD2 – გამმართველი ძაბვის მცირე ვარდნით (გერმანიუმის, შოტკის დიოდ). ტრანსფორმატორის, დიოდის ბოგირის და C1 კონდენსატორის პარამეტრებს არჩევენ გამომავალი ძაბვის და დენის აუცილებელი მნიშვნელობების შესაბამისად.

თუმცა ტრანზისტორი გათვლილია დიდ დენზე და დიდ გაბნეულ სიძლიერეზე, მისი ყველა შესაძლებლობების რეალიზაციისათვის აუცილებელია ეფექტური თბოამრიდით უზრუნველყოფა. გამოყენებული ტრანზისტორი განკუთვნილია რადიატორზე მირჩილვით დამაგრებისათვის.


ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია რამოდენიმე მილიმეტრიანი შუალედური სპილენძის ფირფიტის გამოყენება, რომელსაც მიარჩილებენ ტრანზისტორს და რომელზეც შეიძლება დანარჩენი დეტალების დამონტაჟება (ნახ. 4).



ნახ. 4

მონტაჟის დამთავრების შემდეგ, ფირფიტა შეიძლება მოთავსდეს რადიატორზე. ამ დროს მირჩილვა აღარ არის საჭირო, ვინაიდან ფირფიტას ექნება დიდი ფართობის სითბური კონტაქტი რადიატორთან.

თუ ზედაპირული მონტაჟისთვის გამოიყენებთ TL431C ტიპის DA1 მიკროსქემას, P1-12 ტიპის რეზისტორებს და შესაბამის ჩიპ-კონდენსატორებს, მაშინ მათი განთავსება შეიძლება ერთმხრივ ფოლგირებულ შუშატექსტოლიტის საბეჭდ დაფაზე (ნახ. 5).



ნახ. 5

დაფას არჩილავენ ტრანზისტორის გამომავალზე და აწებებენ სხენებულ სპილენძის ფირფიტაზე წებოთი. ასეთი ფირფიტის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნას, მაგალითად, გაფუჭებული ძლიერი ბიპოლარული ტრანზისტორის, ვთქვათ KT827, კორპუსიდან აღებული მილტუჩი, ჩაკიდული მონტაჟის გამოყენებით.

სტაბილიზატორის გამართვა დაიყვანება გამომავალი ძაბვის საჭირო მნიშვნელობის დაყენებამდე. მოწყობილობა აუცილებლად უნდა შემოწმდეს ელ. თვითაგზნებაზე მუშა ძაბვის ყველა დიაპაზონში. ამისათვის, ძაბვა მოწყობილობის სხვადასხვა წერტილებში, კონტროლირდება ოსცილოგრაფის

დახმარებით. თუ თვითაგზნება წარმოიშობა, მაშინ C1, C2 და C4 კონდენსატორების პარალელურად უნდა მივუერთოთ 0,1 მკვ მოცულობის კერამიკული კონდენსატორები მინიმალური სიგრძის გამომყვანებით. ეს კონდენსატორები უნდა განლაგდეს რაც შეიძლება ახლოს VT1 ტრანზისტორთან და DA1 მიკროსქემასთან.

Литература

1. **Мошне полевые переключательные транзисторы фирмы International Rectifier.**- Радио, 2001, № 5, с. 45

2. **И. Нечаев.** Необычное применение микросемы КР142ЕН19А.- Радио, 2003, № 5, с. 53,54

Радио, 2003, №8, с. 53,54


101. მცირეგაბარიტიანი ვოლტმეტრი

შალამბერიძე გიორგი

ყოველთვის არ არის საჭირო მრავალდიაპაზონიანი გამზომი ხელსაწყო, მაგალითად, ავომეტრი ან მულტიმეტრი. ხანდახან საკმარისია გაიზომოს ძაბვა ან წინაღობა მოწყობილობის რომელიმე წრედში. ამ მიზნისთვის საესკებით გამოსადეგია შემოთავაზებული ვოლტმეტრი.

მერყევ სამიზნეზე ბალანსირების დროს, უხერხული Ц57 ან Ц20 დაჭერისას, ცდილობთ მოძებნოთ დაზიანება სატელევიზიო ანტენის გაყვანილობაში და ... გივარდებათ გამზომი ხელსაწყო. ნაცნობი სურათია არა? ხელსაწყო დაზიანდება იმ შემთხვევაშიც, თუ დაგავიწყდებათ წინააღობის გაზომვის რეჟიმის გადართვა, როცა შემთხვევით, საცეცებით შეეხებით შემოწმებული რადიომოწყობილობის შედარებით მაღალი ძაბვის წრედს.

ყოველივე ეს შეიძლება თავიდან აიცილოთ, თუ ხელთ გექნებათ მცირეგაბარიტიანი ვოლტმეტრი (სურ. 1) გაზომვის რეჟიმების გადამრთველის მოსახერხებელი სისტემით.



ნახ. 1

ასეთი ხელსაწყო შეიძლება გეჭიროთ ხელში (სურ. 2) და თითები დააჭიროთ რეჟიმების გადამრთველის და გაზომვის საზღვრების საჭირო ღილაკებს.

ხელსაწყოს ლოგარითმულმა მახასიათებელმა შესაძლებელი გახადა გაზომვის უფრო მეტი დიაპაზონის მოცვა წრფივ მახასიათებელთან შედარებით.

ქედან გამომდინარეობს დიაპაზონის რაოდენობის შემცირება ორამდე: მუდმივი ძაბვისა 0...30 ვოლტი, 0...300 ვოლტი და ცვლადისა 0...60 ვოლტი, 0 ... 600 ვოლტი. ამ დიაპაზონებზე ჩვენებებს კითხულობენ სხვადასხვა შკალიდან დამატებით გადართვების გარეშე [1]. წინაღობის გასაზომად ასევე გამოიყენება ორი დიაპაზონი: 0 ... 2 კომ ... უსასრულობა (პირდაპირი თვლის შკალის მიხედვით) და 0 ... 100 კომ ... უსასრულობა (უკუ თვლის შკალის მიხედვით) [2]. დენის გაზომვა არ არის გათვალისწინებული, მაგრამ მისი ძალის გამოთვლა არ არის რთული ცნობილი წინაღობის რეზისტორზე ძაბვის ვარდნის მიხედვით.

ვოლტმეტრის მთავარ განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ საჭირო დიაპაზონს და რეჟიმს არჩევენ SB1-SB3 გადამრთველების ღილაკების დაჭერით. თუ ღილაკები გაშვებულია, ხელსაწყო ავტომატურად ბრუნდება მაქსიმალური ძაბვის გაზომვის რეჟიმში. ხელსაწყოს კიდევ ერთი თავისებურება – უხერხულ მდგომარეობაშიც კი (მაგალითად, კატერის ტრიუმში) შესაძლებელია ერთი ხელით უშეცდომო ჩართვა საჭირო რეჟიმისა, თანაც, ხელსაწყოს ხელში ჭერის შემთხვევაში. ამასთან, მხედველობის არეში ერთდროულად იმყოფება შკალა, გამზომი საცეცი, და გასაზომი ობიექტის წრედი. იმისათვის, რომ ეს ხელსაწყო არ იყოს დამოკიდებული გასაზომი ძაბვის პოლარულობაზე, გათვალისწინებულია SA1 გადამრთველი.

თუ ამ გადამრთველის კონტაქტები იმყოფება სქემაზე მოცემულ მდგომარეობაში, X1 საცეცი უნდა მიუერთდეს გასაზომი წრედის პლიუსურ ძაბვას, X2 მომჭერი – მინუსურთან.



ნახ. 2

დიოდი VD2 აღმოჩნდება ღია. გასაზომი ძაბვის უკუ პოლარულობისას საცეცი და მომჭერი რომ გადაადგილდეს, გადამრთველის მოძრავ კონტაქტს აყენებენ სხვა მდგომარეობაში.

ცვლადი ძაბვის გაზომვისას VD1 დიოდი – მათანაბრებელი, VD2 – გამმართველი. როცა SA1 გადამრთველის მოძრავი კონტაქტი იმყოფება სქემის მიხედვით მარჯვენა მხარეს, დიოდების ფუნქციები იცვლება. ამასთან, ჩნდება ცვლადი ძაბვის ფორმების ზოგიერთი სახეების დამახინჯების ოპერატიული აღმოჩენის საშუალება – ნახევარპერიოდების ამპლიტუდის სხვადასხვაობის მიხედვით. რა თქმა უნდა, დიოდები უნდა იყოს ერთნაირი.


SA1 და SB2 გადამრთავები განლაგებულია ადვილად ხელმისაწვდომ, საჩვენებელი თითით გადასართავ კორპუსის ზედა ნაწილზე, SB1 და SB3 კი – მის გვერდით კედელზე. ამით მაგრდება ზედა ორი გადამრთველის პრიორიტეტი ორი გვერდითას წინააღმდეგ. ჩნდება საშუალება, წინააღმდეგობის გაზომვის რეჟიმის ყოველი ჩართვის წინ, დავრწმუნდეთ, რომ გასაზომ წრედზე არ არის რაიმე ძაბვა. მცირე წინააღმდეგობის გაზომვისთვის ერთდროულად აჭერენ SB1 და SB3 დილაკებს, SA1 გადამრთველის მოძრავი კონტაქტი გადააქვთ სქემის მიხედვით მარჯვენა მხარეს. თუ საჭიროა მცირე წინააღმდეგობის გაზომვა, აჭერენ SB1 დილაკს, გადამრთველის მოძრავ კონტაქტს ამონტაჟებენ მარცხენა მდგომარეობაში. SB1 - SB3 სახით გამოიყენება MII5 გადამრთველები (დასაშვებია MII1), რომლებსაც აქვთ ამძრავი მექანიზმის შედარებით მსუბუქი სვლა. მათი მუშაობა მკვეთრად იგრძნობა სმენითაც. მათი მირჩილვა ფრთხილად უნდა მოხდეს, რათა ფლუსი არ შევიდეს კორპუსის შიგნით. G1 კვების წყაროა – აკუმულატორით Д-0,26. შეიძლება მისი პერიოდული დატენვა მოწყობილობის კორპუსიდან ამოუღებლად. ამისათვის საჭიროა SB1 დილაკის დაჭერილ მდგომარეობაში დაფიქსირება, SA1 გადამრთველის მოძრავი კონტაქტი უნდა დაყენდეს სქემის მიხედვით მარჯვენა მდგომარეობაში და X1 საცეცს და X2 მომჭერს მიეწოდოს 2...3 ვოლტი ძაბვა (პლიუსით მომჭერისკენ). R3 რეზისტორით (CH5-3) აყენებენ 26 მა. სიდიდის დამტენ დენს.

PA1 ისრისებრი ინდიკატორია – M4761-M1 ჩაწერის დონის ინდიკატორისთვის. მოწყობილობის კორპუსად შეიძლება გამოყენებულ იქნას პოპულარული საათის „ელექტრონიკა“ პლასტმასის შეფუთვის გაუმჭვირვალე ნაწილი. ინდიკატორის და შეფუთვის ზომები ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს. თუ არის საშუალება, რამოდენიმე ინდიკატორიდან უნდა ამოირჩეს ის, რომელსაც კარგად აქვს დაბალანსირებული მოძრავი სისტემა – მოწყობილობის

მდგომარეობის შეცვლისას, ისარი არ უნდა გადაიხაროს ნულოვანი ნიშნულისგან.


ინდიკატორი აუცილებლად უნდა აღიჭურვოს ახალი შკალით. ამისათვის, სკალპელით ხსნიან ინდიკატორის ხუფს და გასწევენ საბჯენებს (თუ ისინი არის ინდიკატორის მოცემულ ეგზემპლარში) იმდენად, რომ ისრის მსვლელობის ზომები გაიზარდოს 90 C. საქუსლეს ფიქსაციის ქანჩის მოშვებით, ისარს აყენებენ ქარხნული შკალის შავი სექტორიდან 3 მმ-ით მარცხნივ, რის შემდეგაც, მოუჭერენ ქანჩს და აფიქსირებენ წებოს წვეთით. მაგნიტურ სისტემას ისე არეგულირებენ და აფიქსირებენ, რომ ისარმა შეინარჩუნოს ერთნაირი მანძილი (დაახლოებით 1 მმ) შკალამდე ყველა გაქანების მიხედვით.

ცარცოვანი ქალაღდისგან აკეთებენ და აწებებენ ახალ შკალას (სურ. 3) ზომით 53X30 მმ, შემდეგ ხუფს აწებებენ დიქლორეთანით.



ნახ. 3

პლასტმასის ფირფიტებისგან (საათის შეფუთვის ზედა ხუფისგან ან MK-60 კასეტის შეფუთვისგან) აუცილებელია დაწებდეს ჭრილები კორპუსის ფსკერზე. კორპუსში დეტალების განლაგების მოდელირების შემდეგ



ნახ. 4

(სურ. 4), SB1 - SB3 გადამრთველების დილაკების საპირისპიროდ ბურღავენ ჭრილებს დიამეტრით 5 მმ და ახდენენ ბურღით მათ განღრუებას დიამეტრით 10-15 მმ. SA1 გადამრთველის ძვრიას ქვეშ, კორპუსის კედელში ჭრიან (ან ბურღავენ) სწორკუთხა კილოს. ამ დეტალებს, ასევე R3 რეზისტორს და აკუმულიატორს აწებებენ კორპუსს წებოთი „მომენტი“. მაგრამ,

აკუმულიატორთან წინასწარ, მისი გადახურების გარეშე, MTTΦ მავთულების ნაჭრებს სწრაფად არჩილავენ. მუდმივ რეზისტორებს და დიოდებს არჩილავენ გადამრთველების გამოსასვლელებზე (სქემის მიხედვით R2 რეზისტორის ქვედა გამოძევიანი და დიოდების ზედა გამოძევიანებს არჩილავენ ერთმანეთს შორის).

X1 საცეცი – თითბერის სადენის მონაჭერი დიამეტრით 1,5 მმ და სიგრძით 76 მმ. ერთი მხრიდან მას უკეთებენ მახვილ წვეტს, მეორე მხრიდან ღუნავენ 13 მმ-ით კიდიდან დაახლოებით სწორი კუთხით. საცეცს აყენებენ გარედან მრგვალ ჭრილში SB2 გადამრთველის კორპუსში და აცილებენ ფოლხვას ფოლგის საცეცის ხაზზე სიფართით 7 მმ. ჭრილიდან გამოძევიანი საცეცის ბოლოზე აცმევენ ზამბარას, საყელურს, გაშიშვლებულ ბოლოს შემაერთებელი სადენისა (ის უდგება SB1 და SB3), და არჩილავენ შეერთებას. კორპუსის შიდა მხრიდან აღნობენ სამ ღარაკს სიღრმით დაახლოებით 1 მმ საცეცის მკვეთრი ფიქსაციისთვის სამ სამუშაო მდგომარეობაში, და ერთ ღარაკს კორპუსის დიაგონალის გასწვრივ საცეცის დასამონტაჟებლად არასამუშაო მდგომარეობაში. საცეცზე აცმევენ მკვეთრ, თხელკედლა კემბრიკს.

X2 მომჭერი დამზადებულია საკერი ნემსისგან №130 საკერავი მანქანისგან. ნემსის არხში დამაგრებულია თითბერის სადენის ნაჭერი დიამეტრით 0,5 მმ. სადენი მომჭერიდან ხელსაწყოთან უკეთესია გამოყენებულ იქნას ფტოროპლასტის იზოლაციაში.

ხელსაწყოს გადატანისას მომჭერს აყენებენ „ჩუპა-ჩუპის“ გაბრტყელებული მილის ნასვრეტში სიგრძით 20 მმ, კორპუსთან აწებებენ გამდნარი კაპრონით.

ხელსაწყოს გამართვისას, R2 რეზისტორით აღწევენ ისრის გადახრას შკალის ბოლო ჭრილზე, როცა შესასვლელზე (საცეცი და მომჭერი) მიწოდებული იქნება მუდმივი ძაბვა 30 ვოლტი და დაჭერილი იქნება SB2 დილაკი. ამოწმებენ მუდმივი ძაბვის შკალის კალიბრებას, შემდეგ ცვლადისას, მიაწოდებენ რა საცეცზე და მომჭერზე 60 ვოლტს. შემდეგ არჩევენ ისეთი წინაღობის R1 რეზისტორს, რათა SB2 დილაკის გაშვებისას ისარი გადაიხაროს პირველი ძაბვისთვის 3 ჭრილზე, მეორესთვის კი – 6 ვოლტზე შესასბამის შკალებზე.

წინაღობის შკალების კალიბრების შემოწმებას ახდენენ ხელსაწყოს შესასვლელზე ცნობილი წინაღობების რეზისტორების მიერთებით.

თუ ინდიკატორის ისრის გადახრა არ ემთხვევა შკალის კალიბრებას, უნდა მოხდეს მათი ხელახალი გადახაზვა ან უნდა შედგეს გამოსასწორებელი ცხრილი.

ამის შემდეგ კორპუსში მჭიდროდ უნდა დაფიქსირდეს საისრე ინდიკატორი, მის პერიმეტრზე პლასტელინის ფენის დატანებით.

„ტრაგედიის“ თავიდან აცილებისთვის, რაზედაც საუბარი იყო სტატიის დასაწყისში, ხელსაწყოს შიგნით საკმარისია განთავსდეს თხელი ლესკის მონაჭკერი, რომლის ბოლოც მარყუჟის სახით შეიძლება წამოეცვას ტანსაცმლის დილაკს სიმაღლეზე მუშაობის დროს.

ლიტერატურა

1. **Ладикова А.** Миниатурный тестер с пробником. – М.: ДОСААФ, ВРЛ, вып.81,с.


1-6.

2. **Кузин В.М.** Перенсные комбинированные риборы. М.: Радио связь, 1991, с. 19
Радио, 2003, №8, с. 54,55.

102. დამმუხტავი მოწყობილობა ორი აკუმულატორისთვის

შონია ლაშა

თანამედროვე დროში დიდი პოპულარობით სარგებლობს ჯიბის რადიომიმღებები, აუდიო პლეიერები, საათები და სხვა ელექტრო მოწყობილობები, რომლებიც იკვებებიან AA ან AAA ზომა-ტიპის ორი ბატარეით. მაგრამ თუ მაგალითად რადიომიმღებმა შეიძლება 1 კომპლექტი ელემენტით მთელი კვირის განმავლობაში იმუშაოს, ზოგჯერ თვეობითაც კი. ფლეიერში შეუსვენებელი მუშაობისას იგი ძალიან მალე დაიცლება, უკვე რამდენიმე საათში და საჭიროა მათი გამოცვლა ახლით. ამიტომაც ხშირად გაღვივებული ელემენტების ნაცვლად იყენებენ NI-CD და NI-MH აკუმულატორებს, რომლებიც შეიძლება დაიტენოს სპეციალური დამტენი მოწყობილობის საშუალებით.



ნახ. 1

სამწუხაროდ მრავალი, შედარებით იაფფასიანი სამრეწველო წარმოების დამტენი მოწყობილობები და სამოყვარულო ლიტერატურაში აღწერილი კონსტრუქციების უმრავლესობა, არ იძლევა აკუმლატორის დამუხტვის ხარისხის კონტროლის საშუალებას, ეს კი ნამდვილად აუცილებელია, რამდენადაც თანამედროვე კასეტური ფლეიერები აღჭურვილია ელემენტების ძლიერი განტვირთვისათვის დამცავი მოწყობილობით. როგორც კი იგი განიტვირთება გარკვეულ ძაბვამდე, ფლეიერი უბრალოდ გაითიშება, ამასთან წინასწარ განსაზღვრა რამდენად ჩქარა მოხდება ეს, პრაქტიკულად შეუძლებელია (მხოლოდ თუკი მუდმივი დაკვირვებით დავინიშნავთ დროს ყოველი დატენვის შემდეგ).

შემოთავაზებული მოწყობილობა განკუთვნილია ორი 50...60მა-იანი აკუმლატორისგან შემდგარი ბატარეის დასამუხტად და საშუალებას იძლევა დაახლოებით განისაზღვროს მუხტის რაოდენობა აკუმლატორში და შესაბამისად დრო რომლის განმავლობაშიც მათ შეეძლებათ მუშაობა .

მოწყობილობის პრინციპიალური სქემა გამოსახულია სურათზე. ამტენი დენი იზღუდება C1 კონდენსატორით. ქსელში ჩართვისას დენის ვარდნას R1 რეზისტორი ახშობს. ქსელიდან გამორთვისას კონდენსატორი განიმუხტება R2 რეზისტორით, ამიტომ 3...4წმ-ის შემდეგ მოწყობილობის ნებისმიერ დენის მტარებელ ნაწილთან შეხება აბსოლიტურად უსაფრთხოა.

შუქდიოდი HL1 ინდიკაციას უკეთებს მოწყობილობის ქსელში ჩართვას. რეზისტორი R3 იცავს მას დამტენი დენით გარღვევისგან. VT1-ზე ტრანზისტორზე აწყობილ ინდიკაციის კასკადზე მიწოდებულ ძაბვის პულსაციას, VD6C2 წრედი აგლუვებს. დამუხტვის დაწყებისას, როდესაც ძაბვა GB1 ელემენტზე 2ვ-ს ტოლია, შუქდიოდი HL2 არ ინთება. ძაბვის მომატებასთან ერთად ნათების სიკაშკაშე ნელნელა მატულობს და 2,6...2,8ვ-ზე ხდება ისეთივე, როგორც დაახლოებით შუქდიოდი HL1. მოწყობილობის აკუმლატორთან ერთად ქსელში ჩართვისას თუ კი კაშკაშით გაიელვებს HL2 შუქდიოდი, ნიშნავს რომ X1GB1X2 წრედი გათიშულია. ამ შემთხვევაში ძაბვა X1 და X2 კონტრაქტებს შორის, VD5 სტაბილიტრონით იზღუდება.

ინდიკაციის კასკადი მუშაობს მოწყობილობის ქსელიდან გამორთვის შემთხვევაშიც, რაც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ აკუმლატორის განტვირთვის ხარისხი (HL2-ს ნათების სიკასკაშის მიხედვით) ნებისმიერ დროს, საჭიროა მხოლოდ ბატარეა მოვათავსოთ მისთვის განკუთვნილ ადგილზე.

მოწყობილობაში შეგვიძლია გამოვიყენოთ ნებისმიერი KT350,KT320 სერიის ტრანზისტორი,ნებისმიერი დიოდები KД105 სერიის .ამასთან VD1-VD4-ად დაშვებულია კაჟის(კრემნიუმის) დიოდების შეერთება სქემის მიხედვით , პირდაპირი დენით არაუმეტეს 150...200მა და 400 ვოლტი უკუძაბვით. კონდენსატორი C1 ორი პარალელურად ჩართული K73-17, 0,47მკფ ტევადობის 630ვ-იანი, ტევადობის ნომინალური მნიშვნელობის დაშვებული ცდომილებით არაუმეტეს $\pm 10\%$. C2 - K50-6 , K50-35 , K50-37.შუქდიოდი HL1 (წითელი ფერის ნათებით) ჩვეულებრივი სიკაშკაშით (მაგალითად kingbright ფირმის L-93410). HL2 მწვანე ნათებით მომატებული სიკაშკაშით (მაგალითად L-934SGC იმავე ფირმის).

მოწყობილობას ათავსებენ შესაფერისი ზომების იზოლირებული მასალისგან დამზადებულ გორპუსში. მის კედლებზე ამაგრებენ ქსელში შესაერთებელს და კონტაქტს აკუმლატორების შესაერთებლად, ერთ-ერთ მათგანში გამობურღავენ ნახვრეტს HL1 ,HL2 შუქდიოდის ქვეშ. დეტალებს აწყობენ კიდული მონტაჟით, რამდენადაც მოწყობილობას გაღვანური კავშირი გააჩნია ქსელთან, აუცილებელია მივიღოთ ზომები, ნებისმიერ დენისმატარებელ ელემენტთან შეხების თავიდან ასაცილებლად.

მოწყობილობას განსაკუთრებული გამართვა არ სჭირდება, ერთადერთი რაც შეიძლება დასჭირდეს, HL2 შუქდიოდის ნათების სიკაშკაშის მიხედვით მითითებულ ძაბვაზე R5 რეზისტორის შერჩევაა. (დაახლოებით

ისეთივე უნდა იყოს, როგორც HL1 დიოდის). ყოველი რეზისტორის გამოცვლა უნდა მოხდეს მოწყობილობის ქსელიდან გამორთვის შემდეგ.

როგორც მუშაობის პრაქტიკამ გვიჩვენა, შექდიოდის ნათების სიკაშკაშე HL2 დატენვის ბოლო ეტაპზე უმნიშვნელოდ იცვლება, ამიტომაც ძნელია იმ დროის განსაზღვრა თუ როდის დასრულდება პროცესი. რეკომენდირებულია დატენვის შეწყვეტა T დროის ამოწურვისას. გამოთვლილი ფორმულის მიხედვით $T=C/55$, სადაც C/ არის ბატარეის ტევადობა, მილიამპერი-საათში.


Радио, 2004, №11, с. 29

103. ფოტოტრი ლაზერული მაჩვენებლის ბაზაზე

ჩალიგავა ნინო

ასეთი სათაურით იყო გამოქვეყნებული ი. ნეჩაევის სტატია “რადიო” 2001, №3, გვ. 58. პრაქტიკამ აჩვენა კონსტრუქციის შემოთავაზებული ვარიანტის ზოგიერთი ნაკლი. ასე მაგალითად მიზანში მოხვედრის დაფიქსირებისთვის ზოგჯერ პიეზოდამსხივებლის ხმა არ არის საკმარისი, ასევე არ არის საჭირო დამატებითი ელემენტები და ძაბვის სტაბილიზატორის მიკროსქემები, რადგან შეიძლება გამოიყენო ლაზერული მაჩვენებლის კვების საშტატო ელემენტები, მისი მცირედი დამუშავების

შემდეგ. ამ ნაკლოვანებებს მოკლებულია შემოთავაზებული ფოტოტრი, რომელშიც შეყვანილია ასევე მიზანში მოხვედრის განათების ინდიკაცია.




ნახ. 1

ნახ-1 ზე მოყვანილია მიზნის სქემა. მასში გამოყენებული ინფრაწითელი ფოტოდოდი **ФД27К** (გამოდგება ნებისმიერი **ФД20К- ФД30К**-დან) შედგება 2 საერთო კათოდის მქონე ფოტოდოდისგან ამიტომ გააჩნია ფოტომგრძნობიარე ელემენტის დიდი ფართობი. ამის გარდა ფოტომგრძნობიარე ელემენტს გააჩნია მიმოხილვის დიდი კუთხე, რადგან არ დიაფრაგმირდება კორპუსით. უკანასკნელი გარემოება ამუშავების საშუალებას იძლევა არა პირდაპირი მოხვედრით, არამედ ფოლგით ან სარკისებრი აპკით დაფარული ძაბრისგან სხვის ანარეკლით.

ერთობრატორი **DD1.1, DD1.2** ელემენტებზე, ნახსენები პუბლიკაციიდან შეუცვლელადაა ნახსენები. ასამუშავებელი გენერატორი **DD1.3, DD1.4** ელემენტებზე, პიეზოგამომსხივებლის ხმის ასამადლებლად, დამუშავებულია ი. ალექსანდროვის სტატიაში ”**ЗП-1** ხმისგამომსხივებლის გამოყენება” ”რადიო“-ში, **1995, N12, გვ. 54** მოცემული რეკომენდაციების მიხედვით. პიეზოგამომსხივებელი ერთი ელემენტით (ერთი გამომყავნი ხისტი, კორპუსის, ხოლო მეორე-რბილი) არის მიერთებული გენერატორის დადებითი უკუკავშირის ჯაჭვში.


მიზანში მოხვედრის სინათლის ინდიკაციისთვის შეყვანილია ვარვარების ნათურა **HL1 (“ИСКРА” 1 В-0,068)**, რომელიც ინთება **VT1**-ტრანზისტორიანი გასაღებით. ნათურას ათავსებენ მიზნის კორპუსის ზემოდან **SA1**-გამომრთველთან. კვების ჩართვისას ნათურა მოკლედროით უცვებ ინთება, რაც მოწყობილობის და ელემენტის ვარგისიანობაზე მეტყველებს.

ტრანზისტორი-ნებისმიერი სერიის, რომლებიც სქემაზეა მითითებული. ცვლადი რეზისტორი 470კომ-დან 1 მომ-მდე წინააღობით. ოქსიდური კომდენსატორი **C1- 50-12, C2-** ნებისმიერი ტიპის. პიეზოგამომსხივებელი **BF1-3П-1**.



ნახ. 2

მიზნის დეტალების უმრავლესობა მონტაჟდება ცალმხრივოლოგიურულ მინატექსტოლიტის პლატაზე ნახ-2. ლაზერული მახვენებლის ჩართვის სქემა ნახვენებია ნახ. 3-ზე



ნახ. 3

მაჩვენელის კვების ელემენტის გამოყენებისთვის აუცილებელია მის კორპუსში გაიბურღოს 2 ნახვრეტი, გამოსაყენებელი სადენის დიამეტრის მიხედვით. ნახვრეტებს ბურღავენ 5...7მმ მანძილზე დამტენ მოწყობილობამდე. შემდეგ უშტისგან მზადდება დენის მოხსნის მოწყობილობა 8მმ დიამეტრით და მათ უნდა მიედულოს სადენები, რომლებიც მახვენებლის კორპუსის

გაბურღულ ნახვრეტებშია გატარებული. დენის მოხსნის მოწყობილობის ცენტრებს აწებებენ (ან გახურებული სარჩილავით პრესავენ) მასიური 11მმ დიამეტრის პლასმასის დილს ორივე მხარეს. დენის მოხსნის მოწყობილობის კორპუსში ჩაგდგმის შემდეგ აუცილებლად მოწმდება ამ მოწყობილობის კორპუსთან კონტაქტის არარსებობა.


ამის შემდეგ ბატარეის განყოფილების თავსახურიდან ხსნიან კარაბინის ჯაჭვს, ხოლო ნახვრეტს ბურღავენ 2,5...3მმ დიამეტრამდე. ამ ნახვრეტში იდგმება ჭანჭიკი რომელიც ამაგრებს კვების “პლიუსის” მავთულს. მაჩვენებლის კორპუსში ათავსებენ კვების ელემენტს, იზოლენტით აფიქსირებენ დილაკს დაჭერილ მდგომარეობაში და ამოწმებენ მაჩვენებელს დენის მოხსნის მოწყობილობასთან მავთულების ჩართვით. თუ ლაზერი ჩაირთვება-აწყობა წარმატებულადაა ჩატარებული.

Радио, 2002, №9, с. 54

104. პკ-ს კონტროლერთან შეკავშირები მოწყობილობა მიმდევრობითი არხით

ჩიტეიშვილი ღია

IBM-ის ტიპის კომპიუტერს მოშორებულ მოწყობილობასთან ე.წ. (რემოტე დევიცე) დასაკავშირებლად ესაჭიროება შესაბამისი ინტერფეისი ღშ-232ჩ (ან ღშ-422, ღშ-485) ტიპის. თუ მოშორებული მოწყობილობა არი რუსული წარმოების МСТС ან МПСУ, ინტერფეისით ИРПС (ინტერფეისი რადიალური შესაბამისობით), პერსონალურ კომპიუტერთან დასაკავშირებლად დაგეჭირდება შემდეგი სქემით აწყობილი ნაწილი.



ნახ. 1

კომპიუტერი დამაკავშირებელ ხაზზე მიბმულია მუდმივი დენით ოპტრონიკით AOT128B (U1, U2). მოკლე ჩართვიდან ხაზს იცავს ტრანზისტორი VT2.

დამაკავშირებელი პროგრამა დაწერილია ტურბო ASIC-ზე და არის დაახლოებით 1 კბ.

მოწყობილობის ნაწილები უნდა აეწყოს პატარა პლატაზე თავსდება კოლოფში DB-25F რაზიომით. შემოსული სადენიანი პაიკით მაგრდება 25-კონტაქტიან სოკეტზე COM2 (COM1 როგორც წესი არი მაუსის). კვება შემოსულ ოპტრონზე მიეწოდება (+12 და -12) მეცხრე და მეთათე რაზიომით.

ეს მოწყობილობა ასევე შეიძლება გამოვიყენოთ COM2-ზე დამატებითი კლავიატურის შესაერთებლად. ებ კლავიატურა გაკეტებულია K1816BE35 (MC7004 ტიპის) მიკროპროცესორით. ამ კლავიატურით შეიძლება მოწყობილობის შორიდან მართვა და კლავისების ფუნქციების პროგრამულად მითითება. ეს არის ტექნოლოგიური კლავიატურა, რომელიც არ ეხება პროგრამას ჩვეულებრივი კლავიატურის ნაცვლად, რომელსაც აქ ცხელი კლავისები რითი საშუალებებიც შეიძლება შეწყდეს პროგრამის განხორციელება.


ეს მოწყობილობა შექმნილია პკ 386-თვის MULTICARD პლატით. ახლა უკვე COM პორტები არი ინტეგრირებული სისტემურ პლატაში მინიმუმ სიგნალებით, რაც ართულებს +12 და -12 ძაბვის COM2 პორტზე გამოყვანა. ამ მოწყობილობის გამარტივებულ ვარიანტში დაცვის ელემენტები VT2 VD2 არ უყენდება. ხაზის კვებისთვის გამოყენებულია სტაბილური კვების წყარო 12ვ 0.3 -ით. R9 რეზისტორის წინაღობა შეადგენს 1 კომ, 5 ვ-თვის – 390 ომ.

Радио, 2002, № 9, с. 22

105. სოკოს მკრიფავის მალვიძარა – მეთვალყურე მოწყობილობა.

ჩოხელი ხატია

მალვიძარის პრინციპიალური სქემა მოყვანილია (ნახ. 1)-ზე, იგი მოქმედებს ასე: როდესაც BL1 ფოტოგადამწოდის განათება გადააჭარბებს გარკვეულ მნიშვნელობას, ტელეფონის კაფსულა BF1 დაიწყებს ხმოვანი სიგნალების გამოცემას, რომელმაც უნდა გააღვიძოს „ბუ“.



ნახ. 1

მაღვიძარაში არის ხუთი დამოუკიდებელი კვანძი: DD1.1 და DD1.2 ელემენტებზე გაკეთებულია შმიტტის ტრიგერი, რომელსაც შეუძლია ნახრომისებურად შეცვალოს თავისი მდგომარეობა. DD1.3, DD1.4 ელემენტები აყალიბებენ მომლოდინე მულტივიბრატორს, DD2.1, DD2.2 გრძელი იმპულსების გენერატორია, DD2.3 და DD2.4 – ხმოვანი სიხშირის გენერატორია, ხოლო კასკადი VT1 ტრანზისტორზე – სიმძლავრის გამაძლიერებელია.

საწყის მდგომარეობაში დამუქებული ფოტოგადამწოდის დროს, მისი წინაღობა მაღალია. DD1.1 ელემენტის 1, 2 გამომყვანებზე მაღალი დონეა 3-გამომყვანზე კი – დაბალი. შესაბამისად DD1.2 ელემენტის 4 გამომყვანზე მაღალი დონეა. ხმა ტელეფონის კაფსულაში არ არის.

როდესაც ფოტოგადამწოდის განათების დონე მოიმატებს, ძაბვა DD1.1 შესასვლელზე შემცირდება და ამ ელემენტის გადართვის ზღვარზე ნაკლები გახდება. DD1.2 – ის 4 გამომყვანზე, მაღალი დონე შეიცვლება დაბალით. C3 კონდენსატორის მეშვეობით მომლოდინე მულტივიბრატორის ერთ-ერთ შესასვლელზე, უარყოფითი გამშვები იმპულსი მიეწოდება. DD1.4 ელემენტის გამომყვანზე მაღალი დონე შეიცვლება დაბალით. ასეთი მდგომარეობის ხანგრძლივობა განისაზღვრება R6, C4 ელემენტების პარამეტრებით.

DD1.3 ელემენტის გამომყვანიდან მაღალი დონე პირველ გენერატორს მიეწოდება და ჩართავს მას. გენერატორის გამომყვანიდან 4 ჰც სიხშირის იმპულსები მეორე გენერატორზე მიეწოდება, რომელის იმპულსების სიხშირე 800..1600 ჰც შეიძლება იყოს. იმპულსების მოკლე სერიები, რომლებიც ჩნდება

მეორე გენერატორის გამოყვანზე, მიეწოდება R9 რეზისტორის გავლით სიმძლავრის გამაძლიერებლის ტრანზისტორის ბაზას.

ტელეფონის კაფსულა გამოსცემს ხმებს, რომლის საერთო ხანგრძლივობა შეადგენს დაახლოებით 13 წამს. თუ R6 რეზისტორისა და C4 კონდენსატორისთვის შედარებით დიდ ნომინალებს შევარჩევთ, შესაძლებელია ზარის ხანგრძლივობის რამდენიმე წუთამდე გაზრდა.

ფოტოგადამწოდის განათების დონეზე მოწყობილობის მკმნობიარობა დამოკიდებულია დაყენებული R1 რეზისტორის წინააღობაზე. C1 კონდენსატორი თავიდან იცილებს მადვიძარის ამოქმედებას შემთხვევითი განათების ხარვეზებისგან, მაგალითად, ელვა.

C2,C6 კონდენსატორები – კვების წრედისმიხედვით ამრიგებლებია. VD1 დიოდი იცავს ტრანზისტორს კაფსულის თვითინდუქციის ძაბვის გასროლებისგან.

ფოტოგადამწოდს წარმოადგენს ფოტოდიოდი ФД 263(BL1), რომელიც შესაძლებელია შეიცვალოს ФД263-01, ФД256, ФД320-ით, ფოტორეზისტორი, მაგალითად - ФР1; დიოდი КД522Б შეიცვლება ნებისმიერზე სერიიდან КД103, КД521, КД 522; ტრანზისტორი КТ3102В – ნებისმიერზე სერიიდან КТ315, КТ503, КТ645, КТ3102. მიკროსქემები გარდა სქემაზე აღნიშნულისა შეიძლება იყოს: К176ЛА7, КР1561ЛА7.


ტელეფონის კაფსულა – ნებისმიერი 50 დან 3000ომ-მდე წინააღობით, მაგალითად, ТК-47, ТА-4, ДЕМ-4М. კონდენსატორი C1, C4 – К73-17, C6-К50-35, დანარჩენი – К 10-17. ცვლადი რეზისტორი – СП-1, СП3-4А, СП3-29А წინააღობით 2 – 4.7მომ, მუდმივი – МЛТ – 0,125 ან МЛТ – 0,25.

კვების წყაროდ შეიძლება გამოვიყენოთ გაღვანური ელემენტების ბატარეა ან სტაბილიზირებული კვების ბლოკი არანაკლებ 30მა დასაშვები დენის დატვირთვით.

ყველა დეტალი, ფოტოდიოდის, ცვლადი რეზისტორის, კვების გადამრთველის, ტელეფონის კაფსულის და კვების წყაროს გარდა დამონტაჟებულია ცალმხრივფოლგირებულ მინატექსტოლიტის საბეჭდ პლატაზე (ნახ. 2)

პლატა მონტაჟდება შესაბამისი ზომების კორპუსში, რომლის კედლებზეც მონტაჟდება დანარჩენი ნაწილები, კორპუსის შიგნით განაწილდება კვების წყარო შესაბამისი რაოდენობის, თანმიმდევრულად შეერთებული გაღვანური ელემენტებით.

მოწყობილობის მუშაობის შემოწმების დროს, შესაძლებელია საჭირო გახდეს ხმის ტონალობის შეცვლა. მაშინ უნდა შეირჩეს R8 რეზისტორი, დროებით ჩაირთოს მის მაგივრად ცვლადი რეზისტორი წინააღმდეგობით 150კომ, როდესაც რეზისტორის საჭირო წინააღმდეგობა განისაზღვრება, R8 რეზისტორის ადგილზე არჩილავენ მუდმივი რეზისტორს საჭირო წინააღმდეგობით. თუ ფოტოდოდის მაგივრად შეერთდება SA2 (ნახ3)-ზე ნახვენები გადამწოდი, რომელიც ჩართვაზე მუშაობს, მოწყობილობა გადაიქცევა მალვიძარიდან დაცვითი სიგნალიზაციის სისტემაზე.




ნახ. 2

გადამწოდის ნაწილები დამონტაჟებულია 25გ-იანი 2200მკფ ტევალობის K50-6 კონდენსატორის ალუმინის კორპუსში. ასეთი გადამწოდი შეიძლება იყოს დამაგრებული სკობით კარზე. მისი გადების დროს M5 ვინტსგან გაკეთებული ტვირთი იწვევა, და შეეხება კორპუსის კედელს. კონდენსატორი C1 იცვლება, და შემდეგ მოწყობილობა ამუშავდება, როგორც ზემოთ არის მოხსენებული.

შესაძლებელია მექანიკური და ფოტოგადამწოდის ერთობლივად გამოყენება. სიგნალიზატორი ამ შემთხვევაში SA2 კონტაქტების დახურვაზე რეაგირებას მხოლოდ დამე მოახდენს. თუ ფოტოდოდისა და ცვლადი რეზისტორი ადგილებს შეეცვლით, მალვიძარა ამუშავდება განათების შემცირებაზე რომლის ზღვარიც, ცვლადი რეზისტორით ყენდება. ასეთ ვარიანტში მისი გამოყენება მოსახერხებელია, როგორც სინათლის წყვეტის სიგნალიზატორი, მაგალითად ფოტოდოდზე ლაზერული სხივის მიმართვით.

ასეთი სიგნალიზატორის გამოყენება შესაძლებელია სკოლის სპორტული შეჯიბრების დროს, სპორტსმენისმიერ ფირნიშის ხაზის გადაკვეთის დასაფიქსირებლად. მაქსიმალური მანძილი მახვენებლიდან შექლიოდამდე დამოკიდებულია გარე განათების დონეზე და შეიძლება 10 მეტრს აღწევდეს.



ნახ. 3

მორიგე რეჟიმში მოწყობილობის მოხმარებული დენი 100 მკა-ს არ აღემატება. მიუხედავად ამისა გაღვანური ელემენტებით კვების დროს, იგი კიდევ შეიძლება შემცირდეს ფოტოდიოდის მგრძობიარობის შემცირებით(მასზე ნახევრად გამჭვირვალე ფირფიტის გადაკვრით) და ცვლადი რეზისტორის წინაღობის გაზრდით.

Радио, 2002, №3, с.47,48

106. ელექტრონული ზარი ველოსიპედისტისთვის

ჩოხელი ხატია

იმისთვის რომ ველოსიპედის ტარება იყოს უსაფრთხო, სასურველია დამონტაჟდეს ველოსიპედზე ხმოვანი სიგნალი. ელექტრონული ზარის

შემადგენლობაში შედის გენერატორი 3ჰ, გამაძლიერებელი და აკუსტიკური გამასხივებელი. ელექტრონული ზარის გამოყენება მნიშვნელოვნად უკეთესია და მოსახერხებელი, ვიდრე მექანიკური ზარი.

ამ ელექტრონულ მოწყობილობაზე შესაძლებელია დაემატოს კიდევ დამატებითი ფუნქციები. მაგალითად, მას შეუძლია გადაიქცეს აკუსტიკურ „მაიაკად“, პერიოდულად იძლეოდეს მოკლე ხმოვანი სიგნალებს. ასეთი მუშაობის რეჟიმში ალბათ იქნება სასარგებლო სოკოს კრეფის წასასვლელად, იმისთვის რომ არ დაიკარგოს ველოსიპედი ტყეში.

მოწყობილობის სქემა მოცემულია (ნახ1)-ზე. DD1.1 - ელემენტზე აწყობილია პირველი გენერატორი მართკუთხედი იმპულსების. DD1.2 ელემენტზე გაკეთებულია მეორე გენერატორი მართკუთხედი იმპულსების. მათი სიხშირე შეადგენს დაახლოვებით 1კГц, აქედან გამომდინარე დევს ხმოვანი დიაპაზონის შუაში. DD1.3, DD1.4 ელემენტებზე აწყობილია ბუფერული გამაძლიერებელი, VT1 ტრანზისტორზე კი - გასაღები, რომლის დატვირთვას ემსახურება დინამიური დაბოლოება BA1.

მოწყობილობა მუშაობს შემდეგნაირად, - საწყის მდგომარეობაში ჩამრთველის კონტაქტები SB1, SA1 ღიაა, როგორც მოცემულია (ნახ1)-ზე, და მოწყობილობა არ იკვებება. სიგნალის რეჟიმში ღილაკი კეტიავს კონტაქტებს SB1.1 და SB1.2 და კვება მიეწოდება ყველა ელემენტზე. VD1 დიოდი ამ რეჟიმში დახურულია, ამიტომ პირველი გენერატორი გამოიმუშავებს მართკუთხედ იმპულსებს ციკლით დაახლოვებით 2. მათი სიხშირე განისაზღვრება C1 კონდენსატორის ტევადობით და R2 რეზისტორის წინააღობით. იგი შეადგენს რამდენიმე გერცს, როცა გამოსასვლელზე 3 ელემენტია DD1.1 არის დაბალი ლოგიკური დონე, მეორე გენერატორი არ მუშაობს და გასაღები დახურულია. ღოდესაც ამ გამოსასვლელზე წარმოიქმნება მაღალი ლოგიკური დონე მეორე გენერატორი დაიწყებს მუშაობას და BA1 დაბოლოებაში წარმოიქმნება ხმოვანი სიგნალი. ამ რეჟიმში ასე ფორმირდება სიგნალი, რომელსაც აქვს („ბიპ, ბიპ, ბიპ სიგნალი“).

თუ ჩართულია გადამრთველი SA1, ამ შემთხვევაში კვება ასევე მიეწოდება მოწყობილობაზე, მაგრამ პირველი გენერატორი გამოიმუშავებს იმპულსებს ციკლით დაახლოვებით 300 და გამეორების პერიოდი 18 - 20 წამს შეადგენს . პირობითად ეს იმას ნიშნავს, რომ C1 კონდენსატორის კვების მიღება ხდება შედარებით სწრაფად VD1 დიოდით და R2 რეზისტორს აქვს დაბალი წინააღობა. ამონადენი ხდება R1 რეზისტორით დიდი წინააღობით, ამიტომ ხდება


გაცილებით უფრო დიდხანს. ამ რეჟიმში მეორე გენერატორი ირთვება ცოტახნით დიდი დროის ინტერვალით.

მოწყობილობა იკვებება ბატარეიდან, აკუმულატორიდან, მთლიანი ძაბვით 3,6 В. C3 დამბლოკავი კონდენსატორი დამონტაჟებულია ბატარეის პარალელურად გადამრთველამდე, გაკეთებულია ეგ იმისთვის, რომ SB1 დილაკის გაშვებიდან ან SA1 გადამრთველის გათიშვით ხმოვანი სიგნალი ეგრევე გაითიშოს. უმეტესი ნაწილი გადანაწილებულია საბეჭდ პლატაზე (ნახ2). პლატა, დინამიური საწყისი და ბატარეია უნდა განაწილდეს კორპუსში, ამასთან SB1 დილაკი სასურველია განაწილდეს ისე, რომ მოსახერხებელი იყოს მისი ხმარება, ხმოვანი სიგნალის გამოსაცემათ, მაგალითად, რულთან.


მოწყობილობაში შეიძლება გამოიყენოს შემდეგი ნაწილები: მიკროსქემა K561TL1 შეიცვლება K564TL – ზე, მაგრამ იქნება დასამუშავებელი პლატა, დიოდი KД102 შეიცვლება KД103-ზე, KД521, KД522, ყველა დიოდი შეიძლება იყოს ნებისმიერი ასოს ინდექსით, პოლარული კონდენსატორები – K50-35 ან ანალოგიური, C2 – K10-17 , მუდმივი რეზისტორები – MЛT, C2 – 33, დილაკი SB1 , გადმოდგება ნებისმიერი პატარა მოცულობის ორი მდგომარეობით და ორი მიმართულებით თვითდაბრუნებით, გადამრთველი SA1 ასევე ნებისმიერი პატარა მოცულობის. დინამიური საწყისისთვის წინააღობით 50ომ ტრანზისტორი VT1 შეიძლება იყოს, გარდა სქემაზე აღნიშნულისა, KT315 სერიის B, E ინდექსით ასევე ნებისმიერი KT3102, KT3117 სერიიდან.

თუ გამოიყენება დინამიური თავი წინააღობით 8 – 16 ომი, სიგნალის ხმა შესამჩნევად მოიმატებს, მაგრამ ამასთან ერთად მოიმატებს დენიც (ძაბვაც), რომელიც გამოიყენება ბატარეიდან. მის გარდა, აუცილებელი იქნება გამოიყენოს ტრანზისტორები KT829A – KT829Г, KT972A, KT972Б ან ძლიერი ტრანზისტორები IRLR 2905 ან ანალოგიურები, ასევე მოიმატოს C3 კონდენსატორის ტევადობა 2200Mкф –მდე. ბატარეია აუცილებლად უნდა უზრუნველყოს საჭირო დენი დაახლოებით 0.2A- მდე.

ხმოვანი სიგნალის სიმაღლე, ანუ მეორე გენერატორის სიხშირე, აყენებენ R3 რეზისტორის შერჩევით, ამისთვის საჭიროა დროებით დაიხუროს მოკლეზე C1 კონდენსატორი, იმისთვის რომ მივიღოთ უწყვეტი სიგნალი. მის შემდეგ, SB1 დილაკის დაჭერით, R2 რეზისტორის შერჩევით აყენებენ პირველი გენერატორის უფრო შესაბამის მუშაობის რეჟიმს. როდესაც ჩართულია SA1 გადამრთველი R1 რეზისტორის შერჩევით უთითებენ საჭირო პერიოდს ხმოვანი სიგნალის მიწოდებისათვის.



ნახ. 1



ნახ. 2

Радио, 2003, №6, с. 55

107. ფოტოელექტრონული მალვიდარა


ჩოხელი ხატია

სტატიაში „ღარაჯის მალვიდარა“, რადიოში 2002, №3, გვ 47-48 მოთხრობილი იყო კონსტრუქციაზე, რომელიც გამოსცემდა ხმოვან სიგნალს,

როცა ემატებოდა ფოტოდაჩიკის განათება. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოწყობილობა წარმოადგენს ფოტომადვიძარას, ძალიან მოსახერხებელი მეთევზეებისთვის, მონადირეებისთვის და ა.შ.

იგივე კონსტრუქცია შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ერთ მიკროსქემაზე და ერთ ტრანზისტორზე. (ნახ. 1).

ის შედგება ფოტოდიოდისგან VD1, რომელიც არის განათების დაჩიკი, ერთეობრატორიანი ტრიგერ შმიტის DD1.1 და DD1.2, ორ გენერატორიანი ტრიგერზე DD1.3, DD1.4 და ინვერტორი ტრანზისტორზე VT1. მორივე რეჟიმში, როცა ფოტოდიოდი დამუქებულია და მისი წინაღობა შედარებით დიდია, ტრიგერის შესასვლელზე DD1.1- დონე, დაბალთან ახლოსაა. ტრიგერი DD1.2 იმყოფება ნულთან მდგომარეობაში, ამიტომ DD1.3 ტრიგერი არ მუშაობს და მის გამოსასვლელზე მაღალი დონეა, რომელიც კეტავს ტრანსისტორს. ქედან გამომდინარე ტრანზისტორის კოლექტორზე – დაბალი დონეა, და ეწინააღმდეგება გენერატორის მუშაობას DD1.4 ტრანზისტორზე. ასეთ მდგომარეობაში მოწყობილობას შეუძლია იყოს ძალიან დიდხანს, და მოიხმაროს დენი კვების წყაროდან.



ნახ. 1

განათების მომატებით ფოტოდიოდის წინაღობა მცირდება, და ძაბვა მაღლითა სქემით რეზისტორის გამოსასვლელზე R1 მატულობს. როცა იგი აღწევს დანიშნულებას, ტრიგერი DD1.1 გადაირთვება იმ მდგომარეობაში, რომელშიც მის გამოსასვლელზე ყენდება დაბალი დონე. იწყებს კონდენსატორი დატენვას C2 რეზისტორების მეშვეობით R2, R3. წარმოიქმნება მაღალი დონე DD1.2 ტრიგერის გამოსასვლელზე, რომელიც რთავს გენერატორს DD1.3 ტრიგერზე. იგი იწყებს მართკუთხედი იმპულსების გამოყოფას სიხშირით 1 გერცი. აღნიშნული იმპულსები VT1 ტრანზისტორზე იწყებენ პერიოდულად


გენერატორის გაშვებას DD1.4 ტრიგერზე, რომელიც გამოიმუშავებს ვიბრაციას 34 სიხშირით დაახლოებით 1500 გერცი. გამასხივებელი BF1 გამოყოფს წვეტილ ხმოვან სიგნალს, რომელიც აცნობებს რომ განათება მიღწეულია ზღვარს. სიგნალი შეწყდება მასინ, როცა ძაბვა მარჯვენა კონდენსატორის გამოსასვლელზე C2 მიაღწევს DD1.2 ტრიგერის გადართვის ზღვარს.

მადვიძარის მუშაობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ძირითადად კონდენსატორის ტევადობაზე C2 და R3 რეზისტორის წინააღობაზე. სქემაზე მითითებულ ნომინალებზე მითითებულ ნაწილებზე იგი წარმოადგენს დაახლოებით 30 წამს. ამ დროის ამოწურვის შემდეგ DD1.2 ტრიგერი გადაირთვება, მის გამოსასვლელზე წარმოიშობა დაბალი დონე, გენერატორები DD1.3 DD1.4 ტრიგერებზე წვეტენ მუშაობას. ასეთ მდგომარეობაში მოწყობილობას ასევე შეუძლია დიდხანს იმყოფებოდეს, მაგრამ მოხმარების დენი რამდენიმეჯერ მატულობს. მარვიძარის განმეორებითი ჩართვა მოხვდება მხოლოდ იმის შემდეგ როდესაც წარმოიქმნება მაღალი დონე, C2 კონდენსატორი სწრაფად დაიცლება ენერჯისგან R2 რეზისტორის და VD1 დიოდის მეშვეობით. მოწყობილობა გადავა მორიგე რეჟიმში. კონსტრუქციაში დასაშვებია გამოიყენოს აღნიშნული მიკროსქემები K564 ,KP1561.

ლოგიკური ელემენტების გამოყენება 2–HE არ არის რეკომენდირებული, რადგან მათ არ გააჩნიათ გისტერეზისი - შემავალი ძაბვის გადასართველად.

ნებისმიერი ტრანზისტორი – რომელიც არის სქემაზე მითითებულის გარდა, ФД-236, ФД-256 ან ანალოგიური. დიოდი ნებისმიერი სუსტი სიმძლავრის კრემნიული. რეზისტორები და კონდენსატორები – ნებისმიერი პატარა მოცულობის, კონდენსატორი C2 სასურველია გამოიყენოს ნაკლები ენერჯის დანაკარგით. გამასხივებელი BF1-3Π-1, 3Π2-2, 3Π-5, 3Π-22 ან ანალოგიური.

მადვიძარის ნაწილები, ფოტოდოდის და გამასხივებელის გარდა, მონტაჟდება საბჭოდათ პლატაზე (ნახ2)



ნახ. 2

ფოტოდიოდი განაწილდება კონსტრუქციის კორპუსზე ისე, რომ მასზე ვარდებოდეს დღის შუქი. ფოტოდიოდის მგძნობიარობის დარეგულირებისთვის ის იფარება სხვადასხვა სახის პლიონკით ან თხელი ქაღალდით, სინათლის ზღვარის შესარჩევად, რომლის დროსაც უნდა ამოქმედდეს მადვიძარა. საჭირო შედეგის მისაღწევად ასევე R1 რეზისტორის არჩევის დროს არის საჭირო, R4, R7 რეზისტორების შესარჩევად ადგენენ საჭირო სიხშირეს ხმოვანი სიგნალის ჩასართავად და მისი ტონალური სიგნალის შესაბამისად.

როგორც ზემოთ აღნიშნული კონსტრუქცია, მას შეუძლია შეასრულოს მრავალი სხვა ფუნქციებიც, მაგალითად: ჩართოს სხვადასხვა მექანიზმები და აპარატები დღე ღამის ნებისმიერ დროს. მაგრამ ამისთვის საჭიროა დაემატოს ტრანზისტორული ან ტრინისტორული კასკადით მართვის შესაბამისი დატვირთვის სიმძლავრით.

Радио, 2002, №12, с. 51.

108. ვენტილატორის გაჩერების ხმოვანი სიგნალიზატორი

ჩოხელი ხატია

კომპონენტებისათვის კარგი პირობების შესაქმნელად, რომელიც დიდი რაოდენობით სითბოს გამოყოფს, თანამედროვე რადიოელექტრონულ აპარატურაში ფართოდ გამოიყენებენ ვენტილატორებს. ვენტილატორის გაჩერება გამოიწვევს ძალიან არასასიამოვნო შედეგებს: გადაცხელების გამო კომპონენტები შეიძლება გამოვიდნენ წყობიდან. იმისათვის რომ არ მოხდეს


მასეთი შემთხვევა, იყენებენ სხვადასხვა სიგნალიზატორებს სისტემების გასაგრძელებლად.

ამ სტატიაში ნაჩვენებია ორი მარტივი საშუალება, რომელიც ვენტილატორის გაჩერების დროს იძლევა ხმოვან სიგნალს.

დაჩიკების მაგივრად კონტროლის მოწყობილობებში ხანდახან იყენებენ გაცილებით დაბალ-ომიანი რეზისტორებს, ჩართული თანმიმდევრობით კვების წყაროში. ასეთ გადაწყვეტილებებს აქვთ ნაკლებობები. პირველ რიგში, დენი, გამოყენებული ვენტილატორით (მაგალითად, „JAMICON” KF0510B1H – 12B,0,13 A), შედგება მუდმივი შემადგენლობილ (0,1 A) და მოკლე იმპულსების მიხედვით (ამპლიტუდით 0,15,,,0,2 A). კონტროლის მოწყობილობა რეაგირებს მხოლოდ ცვლილებად შემადგენელზე, და მუდმივი ქმნის რეზისტორზე ძაბვის ვარდნას მიახლოვებით 1B, რაც ამცირებს ვენტილატორის წარმოებას.

მოწყობილობის პირველი ნაკლის გამოსწორება შესაძლებელია თუ რეზისტორის ნაცვლად იქნება ჩართული დროსსელი. მაშინ მუდმივი შემადგენელი დენი გავა პრაქტიკულად დანაკარგის გარეშე, და ცვლილებადი - შექმნის იმპულსურ ძაბვას, რომელზეც რეაგირებს მოწყობილობა. დროსსელი შეიძლება გამოყენდეს უნიფიცირებული, მაგალითად, DM სერია (DM-0,2, DM – 0.4. DM-1).

ხმოვანი სიგნალიზატორი, თავისუფალია მეორე ნაკლებობისგან, შეიძლება სქემის მიხედვით გაკეთდეს. ის შედგება ინდუქციური დაჩიკისგან T1, იმპულსები ელემენტებზე DD1.1,DD1.2 და სიგნალის გენერატორი 3სთ DD1.3,DD1.4, რომლის გამოსასვლელზე შეერთებულია ელექტრონულ – აკუსტიკური გამასხივებელი HA1. დაჩიკი წარმოადგენს დაბალსიხშირიან გამაძლიერებელ ტრანსფორმატორს, რომლის პირვანდელი ხვევა შედგება ვენტილატორის კვების მართულის რამოდენიმე ბმულიდან. გამოსასვლელთან C3 –ის დამაგროვებელი კონდენსატორის საშუალებით ამ გამოსასვლელზე შეინარჩუნება მაღალი ლოგიკური დონე, შესაბამისად გენერატორი არ მუშაობს.



ნახ. 1

ვენტილატორის გაჩერებით დენის იმპულსები მის მკეცხავ მართულებში და დაჩიკში T1, აქედან გამომდინარე, ძაბვის იმპულსები გამოსასვლელზე (DD1.1, DD2.2) წყდება, კონდენსატორი C3 ჯდება და მაგაზე ყენდება დაბალი ლოგიკური დონე. აქედან გამომდინარე გენერატორი (DD1.3, DD1.4) თვითლიზიანდება და ხმოვანი გამომსხივებელი HA1 აწვდის სიგნალს, იმის შესახებ რომ ვენტილატორი გაჩერებულია. რადგან მოწყობილობას არ აქვს ჰაღონური კავშირი ვენტილატორის კვების წყაროსთან, მას შეიძლება მიეწოდოს კვება ნებისმიერი კვების წყაროდან ძაბვით 5 დან 12 ვოლტამდე (მასეთ ძაბვასთან რომელიც ახლოს არის დაბლითა საზღვართან, მოწყობილობის მგძნობიარობა იქნება მეტი)

Радио, 2002, № 11, с. 19

109. ძაბვის სინქრონიზირებადი იმპულსური სტაბილიზატორი

ცინცაძე თორნიკე

ძაბვის იმპულსური სტაბილიზატორები, დატვირთვის დენის ცვლილებისას ცვლიან გარდაქმნის სისშირეს, დამაგროვებელი ხვიარას არასასიამოვნოდ მოსასმენი “ხმით”. ამ მოვლენის თავიდან აცილება შესაძლებელია გარე იმპულსებით სინქრონიზაციით, რომელთა სისშირეს ჩვეულებრივ ათეული კილოჰერცის ინტერვალში ირჩევენ. ამასთან იმპულსური სტაბილიზატორი გადადის განივ-იმპულსური რეგულირების რეჟიმში, გარდაქმნის მუდმივი სისშირით.

შემოთავაზებულ იმპულსურ დამადაბლებელ სტაბილიზატორს, შეუძლია


ფუნქციონირება არა მარტო ავტორხევით, არამედ სინქრონულ რეჟიმშიც. მისი უპირატესობა სწორედ ამაში მდგომარეობს ანალოგიურ მოწყობილობასთან შედარებით, რომელიც აღწერილია სტატიაში. “ჩერნომირდინის მარტივი იმპულსური სტაბილიზატორი”. “რადიოში. 2003, №7, გვ 26.” სტაბილიზატორს, სხვა ანალოგებთან შედარებით გააჩნია, შემდეგი უპირატესობები: სქემის სიმარტივე, კარგი განმეორებადობა, კომპონენტების პარამეტრების გაბნევისადმი უგრძობლობა, სარეგულირო ელემენტების არ ქონა.

ძაბვის იმპულსური სტაბილიზატორის სქემა წარმოდგენილია ნახ. 1-ზე, ის შემუშავდა ავტომატურ სატელეფონო სადგურში გამოყენებისათვის, ამიტომ შემაგულ და გამომაგულ ძაბვებს უარყოფით პოლარობა აქვთ (60 და 22 შესაბამისად 1ა დატვირთვის დენის დროს). თუმცა იოლია ხელსაწყოს მოდიფიცირება ძაბვის სხვა მნიშვნელობებზე (დადებით პოლარობაზე). გასაღების რეჟიმში მომუშავე VT3 ტრანზისტორის სამართავად, გამოყენებულია VT1 და VT2 ტრანზისტორებზე აწყობილი შმიტის ტრიგერი, რომელიც უზრუნველყოფს VT3 ტრანზისტორის მკაფიო გადართვას როგორც ავტორხევით, სინქრონულ რეჟიმში, ამას გარდა შმიტის ტრიგერი უზრუნველყოფს იმპულსური სტაბილიზატორის მდგრად გარე სიმქრონიზაციას.

სინქრონიზაციის შესასვლელს უნდა მიეწოდოს 2...6ვ ამპლიტუდის მართკუთხა იმპულსები, ფრონტის ხანგრძლივობით არა უმეტეს 2მკწ-ისა და სიხშირით 12-20კჰც-ის ზღვრებში. დიფერენცირებული R1C1 წრედი, მათგან მოკლე იმპულსებს აყალიბებს. შემდეგ დადებითი პოლარობის იმპულსები VD1 დიოდის გავლით VT1 ტრანზისტორის ბაზაზე მიეწოდება. კეტავენ მას და აღებენ VT2- და VT3 ტრანზისტორებს. კვების წყაროდან VT3 ტრანზისტორისა და L1 - დროსელში გამავალი დენი, მუხტავს C4 და C5 კონდენსატორებს.

როცა მათში ძაბვა ნომინალურ მნიშვნელობას მიაღწევს, VD2 - VD3 სტაბილიტრონების ჯაჭვში გაივლის დენი, რომელიც გააღებს VT1 ტრანზისტორს ,რაც თავის მხრივ გამოიწვევს VT2 და VT3 ტრანზისტორების დაკეტავს, ამ დროს L1 კოჭაში წარმოქმნილი დადებითი ძაბვის იმპულსებს აღეფორმირებს VD4- დიოდე, ხოლო დენი კოჭას ხვიალების გავლით ინარჩუნებს სტაბილიზატორის ძაბვას. VT1 ტრანზისტორის ბაზაზე სინქრონიზაციის შემდეგი დადებითი იმპულსების გაჩენისას პროცესი მეორდება. იგივე ხდება სინქრონიზაციის იმპულსების არარსებობის შემთხვევაშიც, იმ განსხვავებით, რომ VT1 ტრანზისტორი ჩაკეტილი იქნება იმ მომენტში, როცა VD2 - VD3 სტაბილიტრონებში დენი იმის გამო არ გაივლის, რომ შემაგული ძაბვა

ძაბვა იმპულსური სტაბილიზატორის გამოსასვლელზე შეიძლება შეიცვალოს ფართო დიაპაზონში, VD2-ისა და VD3 სტაბილიტრონების შერჩევით.



ნახ. 1.

ამავე დროს მათი რაოდენობის შეცვლით. შემავალი ძაბვის შეცვლის დროს, აუცილებელია პროპორციულად შეიცვალოს R4-R7 რეზისტორების წინაღობები. R7 რეზისტორის ისეა შერჩეული, რომ უზრუნველყოს TV3 ტრანზისტორის საიმედო გაღება და გაჯერება. R7 რეზისტორის წინაღობების შეცვლისას ასევე პროპორციულად უნდა შეიცვალოს R5 -R6.

დატვირთვის დენმა შეიძლება რამდენიმე ამპერეს მიაღწიოს ამიტომ ტრანზისტორი VT3 აუცილებელია დავაყენოთ თბოამრიდძზე, რომელიც დამზადებულია 2-3მმ სისქისა და არანაკლებ 50სმ² ფართობის ალუმინის ფირფიტისაგან. გამოსავალი ძაბვის მნიშვნელოვანი შემცირების შემთხვევაში, კვების წყაროს ძაბვაც უნდა იქნეს დაწეული.

L1 დროული დგანთავსებულია Б36 ბრონის მაგნიტოგამტარში, 0,3მმ-ის დაწეპებული დრეხით. მისი დახვეულია 1,2მმ დიამეტრის ПЭЛ გამტარით თეფშების შევსებამდე, გაუდენთილია ლაკით (ან ეპოქსიდით), L1 კოჭა სტაბილიზატორის პლატაზე დამაგრებულია M4 შურუპით (სასურველია იყოს

ლატუნის) და გამოსასვლელით, რომლებიც მირჩილულია ნაბეჭდ საზებზე. C3 და C5 კონდენსატორები აუცილებლად უნდა იყოს კერამიკული, C2 და C3 კონდენსატორების ნომინალური ძაბვა ყოველთვის უნდა აღემატებოდეს (20%-ანი მარაგით) კვების წყაროს ძაბვას, ხოლო C4 და C5 კი სტაბილიზატორის გამოძვალ ძაბვას. ანალოგიურად კოლექტორ-ემიტერის მაქსიმალური დასაშვები ძაბვა ყველა ტრანზისტორისთვის და VD4-ის უკუძაბვა უნდა აღემატებოდეს კვების წყაროს ძაბვას. VD4 დიოდი არის სწრაფ მოქმედი მაგალითად KD212, KD213, KD2997- KD2999 სერიიდან. დადებითი პოლარობის ძაბვის გარდაქმნისა და სტაბილიზაციისათვის აუცილებელია შეიცვალოს ყველა დიოდის, სტაბილიტრონების და ოქსიდური კონდენსატორების C2 და C4 პოლარობა. ტრანზისტორები VT1 და VT2 უნდა შეიცვალოს KT503-ით, ხოლო ტრანზისტორი VT3 – KT853A-ით.

სინქრო იმპულსების გენერატორი შეიძლება იყოს ნებისმიერი, რომელსაც ზემოთ აღნიშნული პარამეტრები გააჩნია. მაგ: იგი შეიძლება ავაწყოთ მულტივიბრატორის სქემის გამოყენებით: ლოგიკური ელემენტების საფუძველზე, ტრანზისტორებზე, ინტეგრალურ KP1006ВИ1 ინტეგრალურ ტაიმერზე. გენერატორს კვება შეიძლება მივაწოდოთ იმპულსური სტაბილიზატორის გამოსასვლელიდან. იმპულსური სტაბილიზატორის მუდმივ დატვირთვაზე მუშაობისას შეიძლება იგი გამოვიყენოთ გარე სინქრონიზაციის გარეშე R1, C1 და VD1 ელემენტების გამორიცხვით. ამ შემთხვევაში იმპულსური სტაბილიზატორის გარდაქმნის საკუთარი სისშირე დამოკიდებული იქნება შერჩეული L1 დროსელის ინდუქციურობასა და C4 კონდენსატორის ტევადობაზე.


Радио, 2004, №1, с. 32

110. ელექტრომაგნიტური ველის მგრძობიარე ინდიკატორი


წვევლიძე ირაკლი

ველის მგრძობიარე ინდიკატორი შეიძლება სასარგებლო იქნეს არამხოლოდ სამოყვარულო რადიოსადგურებისთვის. მისი გამოყენების სფერო გაცილებით ფართეა. სწორედ ამაზე და ასევე ველის ინდიკატორის წარმატებულ კონსტრუქციაზე არის საუბარი მოცემულ სტატიაში.

სუსტი ელექტრომაგნიტური ველის აღმოჩენა და დეტექტორების ამოცანა შეიძლება წარმატებით იქნეს გადაწყვეტილი დეტექტორში ეგრეთწოდებული შებრუნებული დიოდების გამოყენებით. ვოლტამპერული მახასიათებელი (ვამ) შებრუნებული დიოდისა (შდ) მოყვანილია ნახ. 1-ზე. როგორც ჩანს მისი უკუ შტო იწყება ნულიდან.



ნახ. 1.



ნახ. 2

უკუ შტოს ასეთი ფორმა განპირობებულია იმით რომ შდ p-n გადასასვლელის ნულოვანი წანაცვლების დროს იმყოფება ელექტრული გარღვევის მდგომარეობაში. ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთი დიოდის

გარღვევის უკუ ნულს ძაბვა უდრის. p-n გადასასვლელის ეს თვისება მიიღწევა მარეგილებური მინარევების მაღალ კონცენტრაციით საწყის ნახევარგამტარულ მასალაში.

შდ-ის ვამ-ის პირდაპირი შტო შეესაბამება ჩვეულებრივი დიოდის მახასიათებელს და სხვადასხვა ნახევარგამტარებისთვის იწვება რაღაც ზღურბლური ძაბვით, რომელიც გერმანიუმისთვის ტოლია 0.3 ვ. ხოლო გალიუმის არსენიდისთვის - 0.6 ვ.


ესეგი თუ თავდაყირა დავაყენებთ დიოდს ჩვენ მივიღებთ იდეალურ დეტექტორს ვამ-ით, რომელიც იწვება ნულიდან და აქვს უკუ ძაბვა, რომელიც ერთი ვოლტის ნაწილის ტოლია.

ნახ. 2-ზე ნაჩვენებია 180°-ით დაძრული შდ-ის ვამ რომელიც შეესაბამება თითქმის იდეალურ მახასიათებელს მცირე სიგნალების დეტექტირებისათვის. იგი საუკეთესოა იმათგან რაც კი არსებობს თანამედროვე ელემენტების ბაზაში.

მაგრამ, თუ ყურადღებით შევხედავთ შებრუნებული დიოდის ვამ-ს შევნიშნავთ მკვეთრად გამოხატულ არაწრფივობას, რომელიც მესამე რიგისაა. ეს თვისება საშუალებას გვაძლევს წარმატებით გამოვიყენოთ იგი მაღალმგრძობიარე რადიომიმღებებისა და კონვერტერების შემრევ წრედებში.

